

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

---

---

ISSN 1512-0996

გ რ მ ა გ ბ 0  
TRANSACTIONS  
Т Р У Д Ы

№2(492)



03000 – TBILISI – ТБИЛИСИ  
2014

## **სარედაქციო კოლეგია:**

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ქლიმიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. გასიტაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრალავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბშილავა, თ. ამბროლაძე, ქ. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ჯ. ბერიძე, თ. გაბადაძე, ჯ. გახოკიძე, თ. გელაშვილი, ა. გიგინეგიშვილი, ალ. გრიგორიძე, ე. ელიზარაშვილი, ს. ესაძე, ვლ. ვარდოსანიძე, უ. ზვიადაძე, თ. ზუმბურიძე, დ. თავეგლიძე, ბ. იმნაძე, ი. კვეთელავა, ტ. კვიციანი, ზ. კიბაძე, თ. ლომინაძე, ი. ლომიძე, ბ. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, მ. მესხი, ა. მოწონელიძე, ლ. მძინარიშვილი, დ. ნატროშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, შ. ნემსაძე, დ. ნოვაძე, გ. სალუქევაძე, ქ. ქოქრაშვილი, ე. ქუთელია, ა. შარვაშიძე, მ. ჩეიძე, ზ. წვერაიძე, თ. ჯაგოდნიშვილი, თ. ჯიშკარიანი.

## **EDITORIAL BOARD:**

A. Prangishvili (chairman), L. Klimiashvili (vice-chairman), Z. Gasitashvili (vice-chairman), A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava, T. Ambroladze, E. Baratashvili, T. Batsikadze, J. Beridze, M. Chkheidze, E. Elizbarashvili, S. Esadze, T. Gabadadze, J. Gakhokidze, O. Gelashvili, A. Gigineishvili, Al. Grigolishvili, B. Imnadze, T. Jagodnishi, T. Jishkariani, Z. Kiknadze, K. Kokrashvili, E. Kutelia, I. Kveselava, T. Kvitsiani, T. Lominadze, I. Lomidze, M. Matsaberidze, L. Mdzinariashvili, T. Megrelidze, M. Meskhi, A. Motzonelidze, D. Natroshvili, N. Natsvlishvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze, G. Salukvadze, A. Sharvashidze, D. Tavkhelidze, Z. Tsveraidze, Vl. Vardosanidze, O. Zumburidze, U. Zviadadze.

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

А.И. Прангишвили (председатель), Л.Д. Климиашвили (зам. председателя), З.А. Гаситашвили (зам. председателя), А.Г. Аbralава, Г.С. Абрамиашвили, А.В. Абшилава, Т.А. Амброладзе, Е.Ш. Бараташвили, Т.В. Бацикадзе, Дж.Л. Беридзе, Вл.Г. Вардосанидзе, Т.Г. Габададзе, Дж.В. Гахокидзе, О.Г. Гелашвили, А.В. Гигинеишвили, Ал.Р. Григолишвили, Т.А. Джагоднишвили, Т.С. Джишакариани, У.И. Звиададзе, О.Г. Зумбуридзе, Б.Л. Имнадзе, И.С. Квеселава, Т.А. Квициани, З.Г. Кикнадзе, К.А. Кокрашвили, Е.Р. Кутелия, И.Б. Ломидзе, Т.Н. Ломинадзе, М.И. Мацаберидзе, Л.Д. Мдзинариашвили, Т.Я. Мегрелидзе, М.А. Месхи, А.Н. Моционелидзе, Д.Г. Натроши, Н.В. Нацвалишвили, Ш.А. Немсадзе, Д.А. Нозадзе, Г.Г. Салуквадзе, Д.Д. Тавхелидзе, З.Н. Цвераидзе, М.М. Чхеидзе, А.М. Шарвашидзе, Э.Н. Элизбарашвили, С.Ю. Эсадзе.



საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014

Publishing House “Technical University”, 2014

Издательский дом “Технический Университет”, 2014

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



Verba volant,  
scripta manent

## ლალი ბოდელიანი – სახელმწიფო მეცნიერი და პირსეული აღმზრდელი



საქართველოს სამეცნიერო, საინჟინრო საზოგადოება განსაკუთრებული სიობოთი და პატივისცემით მიესალმება პიდროტექნიკური დარგის გამოჩენილ მეცნიერსა და მკვლევარს, ინჟინერთა მრავალი თაობის აღმზრდელს, ეროვნული უმაღლესი განათლების ოვალსაჩინო მოდგაწესა და ორგანიზატორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლალი ლოდელიანს გაზაფხულის ამ უმშვენიერეს და ულამაზეს დღეს, რომელიც მისი ღრმად შინაარსიანი და სამაგალითო ბიოგრაფიის დამამშვენებელი დღეა. ქალბატონმა ლალიმ, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ და ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღიზარდა, საამაურ ცხოვრებისეული გზა განვლო და უანგარო საქმიანობით მრავალ თაობას ქვეყნისა და ხალხის ერთგულების სანიმუშო მაგალითი უჩვენა.

საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე ინჟინერ-პიდროტექნიკოსის უმაღლესი განათლება მიიღო, რის შემდეგაც მუშაობდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტში“ ინჟინრად, 1969-1971 წწ. კი – ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „პიდრომეტეოროლოგიის“ პიდროლოგიის განყოფილების ინჟინრად და უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. სწორედ ამ პერიოდში მეცნიერებაში გადადგმული პირველი ნაბიჯები აღმოჩნდა ახალგაზრდა მკვლევრისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი, რაც, საბოლოოდ, 1974 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვით დაგვირგვინდა. ამავე წელს იგი მიწვეულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის პიდრავლიკის კათედრის ასისტენტად, სადაც შემდგომ წლებში გაიარა გზა დოცენტამდე. 1993 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურმეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მალევე მას ამავე კათედრის პროფესორის წოდება მიენიჭა, რაც ქალბატონი ლალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის საყოველთაო აღიარება გახლდათ. პარალელურად იგი 1998-2002 წწ. ქნერგეტიკისა და პიდროსაინჟინრო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი. 1997 წელს პროფესორი ლ. ლოდელიანი ერთსულოვნად აირჩიეს პიდროსაინჟინრო ფაკულტეტის დეკანად და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. ამ საპატიო თანამდებობებზე მან 2005 წლამდე იღვაწა და მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის რეფორმირებისათვის, ტექნიკურ-ტასის საერთაშორისო პროექტების განხორციელებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცხოვრებაში განსაკუთრებულ მოვლენად იქცა პროფესორ ლ. ლოდელიანის ხელმძღვანელობით გალერეა „უნივერსის“ დაფუძნება, რომელიც უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ეროვნულ ცენტრად იქცა და, რომელსაც იგი დღევანდლამდე წარმატებით უძღვება. ქალბატონი ლალი არის 10-ზე მეტი საერთაშორისო პროექტის კოორდინატორი, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყანაში უმაღლესი საინჟინრო განათლების კველა საფეხურზე თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებაში. მისმა პროფესიონალიზმა განაპირობა ის, რომ 2005 წლიდან დღემდე პროფესორი ლ. ლოდელიანი საქართველოს ტექ-

ნიკური უნივერსიტეტის რეფორმებისა და განათლების საკორდინაციო საბჭოს კოორდინატორი გახდავთ. ამ პერიოდიდან დღემდე ქალბატონი ლალი ეროვნული გამოცდების საპროცედურო კომისიისა და საქართველოს პარლამენტის სოციალური კომიტეტის წევრია.

2005 წლიდან დღემდე სამშენებლო ფაკულტეტის პიდროსაინჟინრო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, ხოლო 2006 წლიდან დღემდე პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორია.

პროფესორი ლ. ლოდელიანი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 3 მონოგრაფიისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორია. მის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის, რომ არჩეულია რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, Sigma-Xi ამერიკელ მეცნიერთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის, საერთაშორისო ეკოლოგიური აკადემიის, პიდრაგლიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის, მეცნიერ და ინჟინერ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის (IWISE) წევრად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონი ლალის მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში, სადაც იგი ნებისმიერ რთულ საკითხზე გაბედულად გამოთქვამს თავის პრინციპულ შეფასებასა და საქმიან წინადადებებს. უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერის საქმიანობამ მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაახლოებისა და მათი გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ში საყოველთაოდ ცნობილ აოვას უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქმიანი კონტაქტების განსახორციელებლად გაწეული ძალისხმევა. ახლახან გაფორმდა ამ ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობანამშრომლობის მემორანული ახალი ვადით, რაც დიდად წაადგება ჩვენს ქვეყანაში აგრარული დარგების განვითარებასა და სოციალური პრობლემების მოგვარებას.

ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პროფესორი ლ. ლოდელიანი დაჯილდოებულია „ლირსების ორდენით“ და „ლირსების მედლით“. ყველაზე დიდ ჯილდოდ ქალბატონი ლალი მიიჩნევს იმ სითბოსა და პატივისცემას, რასაც მის მიმართ გულწრფელად ავლენენ კოლეგები და სტუდენტები, ყველა ვინც კი მასთან თანამშრომლობს და დაუდალავად შრომობს.

არაჩვეულებრივი სულიერებით საქსე და უმაღლესი დირსებით შემკული ოჯახის დედაბობი გახდავთ ქალბატონი ლალი და ეს არის მისი ყველაზე დიდი ბედნიერება.

პროფესორ ლალი ლოდელიანის დვაწლი ფასდაუდებელია, უპირველეს ყოვლისა, მისი საქვეუნო მნიშვნელობით.

დღეგრძელობასა და ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, ქალბატონო ლალი, ჩვენი ქვეყნის მშობლიური უნივერსიტეტისა და ოქვენი ულამაზესი ოჯახის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველოს საინჟინრო აკადემია  
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია

**მეტალურგიიდან ჩართველობიამდე  
(პროფ. რაულ ბვეტაძე – 80)**



ცნობილ მეტალურგსა და ქართველოლოგს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორ რაულ გვეტაძეს, 2014 წლის მაისში 80 წელი შეუსრულდა.

რ. გვეტაძე 1952-1957 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრდეპრიზმანის განისაზღვდა. მან 1957 წელს ფრიადზე დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით.

მან შრომითი საქმიანობა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო, შემდეგ მუშაობდა თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“. 1960 წლიდან დღემდე პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1973-1983 წწ. რ. გვეტაძე სამსხმელო წარმოების კათედრის გამგის თანამდებობაზე მუშაობდა. იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამსხმელო ლაბორატორიის დამაარსებელია, სადაც დღემდე ხდება საკონსტრუქციო და მხატვრული სხმულების წარმოება. რ. გვეტაძემ აღმოაჩინა გამორჩეული თვისებების საკონსტრუქციო მასალა – მაღალი სიმტკიცის დეფორმირებადი თუკი, რომელიც ტრადიციული თუკისგან განსხვავებით გამოირჩევა პლასტიკური დეფორმაციის უნარით.

პროფ. რ. გვეტაძე ერუდირებული ინჟინერია, არის მნიშვნელოვანი პროექტების ავტორი, ფლობს ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ტექნიკის დარგში გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე უცხოურ და საერთაშორისო, აღიარებულ გამოცემებში, მონაწილეობდა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. არის 7 მეცნიერებათა დოქტორისა და 2 მაგისტრანტის კონსულტანტი. პროფ. რ. გვეტაძე არის 17 გამოგონებისა და პატენტის ავტორი.

რუსთავის ქარხანა „ხალიბში“ მან შექმნა 8-ტონიანი თუკის ბოჭვების ჩამოსხმის ტექნოლოგია, ხოლო თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“ მძიმე სხმულების (3-10ტ) ჩამოსხმის ახალი ტექნოლოგია. პროდუქცია იგზავნებოდა საპორტო ამწევების მწარმოებელ ცნობილ იტალიურ ფირმა „ფანტუციში“.

კაცობრიობის განვითარებაში ქართული ეთნოსის განსაკუთრებული კულტურული წელი და მეტალურგიასა და დამწერლობასთან იყო დაკავშირებული. ამან განაპირობა ის, რომ მეტალურგიაში წარმატებული მეცნიერი დაინტერესდა ქართული დამწერლობათმცოდნეობის პრობლემატიკით, ეპიგრაფიკული ძეგლებით, ქართული კულტურული მემკვიდრეობით.

რ. გვეტაძე თვლის, რომ დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვაცნობოთ მსოფლიოს საზოგადოებას, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ანტიკური ეპოქის ქართული ცივილიზაციის

საკაცობრიო მნიშვნელობის შედევრია, რადგან მასში მოიპოვება ენციკლოპედიური ხასიათის ცნობები ასტრონომიის, მათემატიკის, ქრონოლოგიისა და თეოლოგიის დარგებში და, ამდენად, ის მართლაც ქართული მწიგნობრობის უბადლო ძეგლია.

ქართველებს ოდითგანვე პქონდათ არა მარტო საკუთარი დამწერლობა, არამედ ასტრონომიულ ციკლებზე დაფუძნებული ეროვნული წელთაღრიცხვის სისტემაც.

წარმატებული მეცნიერი ლირსეული ოჯახის ბურჯია. მას პყავს შესანიშნავი მეუღლე, 3 შვილი, 8 შვილიშვილი და 1 შვილთაშვილი.

იუბილარს, პროფესორ რაულ გვერდეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებას მეტალურგიიდან ქართველოლოგიამდე კვლევა-ძიების ჭეშმარიტებისაპერ მიმავალ გზაზე.

*ქიმიური ტექნიკოლოგიისა და მეტალურგიის ვაკუუმტექნიკი*

# შინაგასი

## მშენებლობა

ლ. გალდავა. ბეტონის ბრავიტაციული კაშხლის დაძაბულ-დეფორმირებული მდგრმარეობა წყალსაცავის ჰსკერზე ჰიდროსტატიკური წევის ბათვალისწილებით.....	9
ა. მოწონელიძე, ლ. გალდავა. ნელი სტატიკური ციკლური დატვირთვის გავლენა სეჭრის ბრავიტაციული კაშხლის სიმარტვეს.....	12
დ. კუჭუხიძე, ნ. მურჯულია, ს. გიურგაშვილი. სათბობის ეკონომიკა საქართველოს არაბაზიზიცირებულ რეგიონებში ადგილობრივი მყარი საწვავით მოშვავი გათბობის მაღალებების გამოყენებით .....	17

## სამორ საქმე და გეოლოგია

ნ. ქაჯაია, ნ. ჯაფარიძე, შ. ჯანაშვილი. საყდრისის კვირაცხეოვლის შპნის ოქროს მინერალიზაციის ცვალებადობის მათემატიკური მოდელირება .....	21
--	----

## ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია

ო. მიქაელი, ა. კანდელაკი, ი. ნახუცრიშვილი, ნ. მაისურაძე, გ. მიქაელი. ცერიუმის გავლენა ძრომალუმინიანი მხურვალმილები ზოლადის მაღალტემატიკურულ კოროზიაზე.....	28
ა. თუთბერიძე, კ. პაპავა, ს. მებონია. საწარმოო კიროგებში საიმედო ექსაერიმენტის დაგებმვის მეთოდიკის შესახებ.....	32

## სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა

გ. ტყეშელაშვილი, ა. მებონია. ეკონომიკური სუბიექტების კონკურენციული კოლიტიკა და მისი როლი მცხვნის ეკონომიკის განვითარებაში .....	36
თ. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადაღაშვილი, ბ. ლვაჩლიანი. მცხოვრილი ცენტრული სამსახურის მრავალკომპონენტიანი საკვებ-სამკურნალო კონდუქტორის მიღების გაუმჯობესების გზები.....	40
თ. მეგრელიძე, გ. მეგრელიძე, რ. გახოკიძე, ვლ. თალაკვაძე, გ. ბასილაძე. სამაცივრო კამერის ჰაერში რობონის კონცენტრაციის და მოქმედების ხანგრძლივობის გავლენა ხილისა და ბოსტნეულის ცივად შენახვის პროცესზე .....	44
ზ. ჯაფარიძე, მ. ხოშტარია. მუხის კასრში საკონიაკე საირტის დამველების ექსტრაქციული პროცესის კინეტიკა.....	48

## არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი

თ. ქუთათელაძე, გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი. თბილისის არქიტექტურა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.....	51
--	----

## **პიზენისიშვილინგი**

<b>ა. კობიაშვილი, ნ. ფაილოძე, კ. რამაზაშვილი.</b> ავტომატიზაციის ეფექტურობა წარმოების სფეროში.....	55
<b>06 ფორმატიდა, მართვის სისტემები</b>	
<b>თ. ფალავა, ნ. მაისურაძე, მ. ბერიძე, ი. კალანდაძე, ნ. ესიავა.</b> მაღალენერგეტიკული პროცესებით დასხივებული პრისტალების გამოკვლევა ჭოტო-ჰოლის ეფექტის მეთოდი.....	61
<b>მ. მეცხვარიშვილი, მ. ბერიძე, ი. კალანდაძე, ქ. ბარამიძე.</b> სტრონციუმის გარბონატის ნაზილაკების გავლენა სამარიუმის მანგანიტის მაგნიტურ თვისებებზე .....	68
<b>ავტორთა საძიებელი</b> .....	71
<b>ავტორთა საყურადღებოდ</b> .....	72

# CONTENTS

## BUILDING

<b>L. Galdava.</b> STRAINED-DEFORMATED CONDITION OF CONCRETE GRAVITATION DAM TAKING INTO ACCOUNT THE HYDROSTATIC PRESSURE AT THE BOTTOM OF RESERVOIR.....	9
<b>A. Motsonelidze, L. Galdava.</b> EFFECT OF SLOW STATIC CYCLIC LOADING ON THE STRENGTH OF A CONCRETE GRAVITY DAM .....	12
<b>D. Kutchukhidze, N. Murghulia, S. Giutashvili.</b> FUEL ECONOMY BY USING SOLID FUEL HIGH-EFFICIENCY HEATING BOILERS WITHIN NON-GASIFIED AREAS OF GEORGIA.....	17

## MINING AND GEOLOGY

<b>N. Kajaia, N. Japaridze. Sh. Janashvili.</b> MATHEMATICAL MODELING OF THE VARIATION OF GOLD MINERALIZATION IN THE AREA OF KVIRATSKHOVELI AT SAKDRISI ORE DEPOSIT.....	21
--	----

## CHEMICAL TECHNOLOGY, METALLURGY

<b>O. Mikadze, A. Kandelaki, I. Nakhutsrishvili, N. Maisuradze, G. Mikadze.</b> INFLUENCE OF CERIUM ON THE HIGH TEMPERATURE CORROSION OF CHROMIUM-ALUMINIUM HEAT-RESISTING STEEL.....	28
<b>A.Tutberidze, K. Papava, S. Mebonia.</b> ON THE METHODS OF PLANNING A RELIABLE EXPERIMENT IN PRODUCTION CONDITIONS .....	32

## TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING

<b>G. Tkeshelashvili, A.Mebonia.</b> COMPETITION POLICY OF ECONOMIC SUBJECTS AND ITS ROLE IN DEVELOPMENT ECONOMY OF COUNTRY.....	36
<b>T. Megrelidze, V. Gvachiani, G. Gugulashvili, E. Sadagashvili, B. Gvachiani.</b> MANY-COMPONENT NUTRITIVE-MEDICAL PRODUCTS RECEIVING IMPROVEMENT WAYS FROM VEGETABLE RAW MATERIALS.....	40
<b>T.Megrelidze, G.Megrelidze, R.Gakhokidze, V.Talakvadze, G.Basiladze.</b> INFLUENCE OF OZONE CONCENTRATION IN THE AIR OF REFRIGERATION CAMERA AND ACTION CONTINUANCE ON FRUITS AND VEGETABLE COOL KEEPING PROCESS .....	44
<b>Z. Japaridze, M. Khoshtaria.</b> THE KINETICS OF THE EXTRACTION PROCESS WITH THE COGNAC ALCOHOL EXPOSURES IN OAK BARRELS.....	48

**ARCHITECTURE, URBANISTICS, DESIGN**

<b>T. Kutateladze, G. Bagration-Davitashvili.</b> TBILISI'S ARCHITECTURE ON THE EDGE OF XIX-XX CENTURIES.....	51
--	----

**BUSINESS-ENGINEERING**

<b>A. Kobiashvili, N. Pailodze, K. Ramazashvili.</b> EFFICIENCY OF AUTOMATIZATION IN THE SCOPE OF PRODUCTION.....	55
--	----

**INFORMATICS, MANAGING SYSTEMS**

<b>T. Paghava, N. Maisuradze, M. Beridze, I. Kalandadze, N. Esiava.</b> INVESTIGATION OF CRYSTALS IRRADIATED BY HIGH-ENERGY PROTONS THROUGH THE PHOTO-HALL METHOD .....	61
<b>M. Metskhvarishvili, M. Beridze, I. Kalandadze, K. Baramidze.</b> INFLUENCE OF STRONTIUM CARBONATE PARTICLES ON THE MAGNETIC PROPERTY OF SAMARIUM MANGANITE .....	68

<b>AUTHORS INDEX</b> .....	71
<b>TO THE AUTORS ATTENTION</b> .....	74

# СОДЕРЖАНИЕ

## СТРОИТЕЛЬСТВО

<b>Л.А. Галдава.</b> НАПРЯЖЕННО-ДЕФОРМИРОВАННОЕ СОСТОЯНИЕ БЕТОННОЙ ГРАВИТАЦИОННОЙ ПЛОТИНЫ С УЧЕТОМ ГИДРОСТАТИЧЕСКОГО ДАВЛЕНИЯ НА ДНО ВОДОХРАНИЛИЩА .....	9
<b>А.Н. Моцонелидзе, Л.А. Галдава.</b> ВЛИЯНИЕ МЕДЛЕННОЙ СТАТИЧЕСКОЙ ЦИКЛИЧЕСКОЙ НАГРУЗКИ НА ПРОЧНОСТЬ БЕТОННОЙ ГРАВИТАЦИОННОЙ ПЛОТИНЫ .....	12
<b>Д.Г. Кучухидзе, Н.Н. Мургулиа, С.Г. Гиуташвили.</b> ЭКОНОМИЯ ТОПЛИВА В ОТЕЧЕСТВЕННЫХ КОТЛАХ ОТОПЛЕНИЯ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ЭФФЕКТИВНОГО ТВЁРДОГО ТОПЛИВА В НЕГАЗИФИЦИРОВАННЫХ РЕГИОНАХ ГРУЗИИ .....	17

## ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

<b>Н.А. Каджая, Н.Н. Джапаридзе, Ш.Г. Джанашвили.</b> МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ИЗМЕНЧИВОСТИ МИНЕРАЛИЗАЦИИ ЗОЛОТА НА УЧАСТКЕ КВИРАЦХОВЕЛИ САКДРИССКОГО МЕСТОРОЖДЕНИЯ .....	21
---	----

## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ, МЕТАЛЛУРГИЯ

<b>О.И. Микадзе, А.З. Канделаки, И.Г. Нахуциришвили, Н.И. Майсурладзе, Г.О. Микадзе.</b> ВЛИЯНИЕ ЦЕРИЯ НА ВЫСОКОТЕМПЕРАТУРНУЮ КОРРОЗИЮ ХРОМО-АЛЮМИНИЕВОЙ ЖАРОСТОЙКОЙ СТАЛИ .....	28
<b>А.И. Тутберидзе, К.Г. Папава, С.А. Мебония.</b> О МЕТОДИКЕ ПЛАНИРОВАНИЯ НАДЕЖНОГО ЭКСПЕРИМЕНТА В ПРОИЗВОДСТВЕННЫХ УСЛОВИЯХ.....	32

## ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ

<b>Г.В. Ткешелашвили, А.С. Мебония.</b> КОНКУРЕНТНАЯ ПОЛИТИКА ЭКОНОМИЧЕСКИХ СУБЪЕКТОВ И ЕЕ РОЛЬ В РАЗВИТИИ ЭКОНОМИКИ СТРАНЫ .....	36
<b>Т.Я. Мегрелидзе, В.В. Гвачлиани, Г.Л. Гугулашвили, Э.З. Садагашвили, Б.В. Гвачлиани.</b> К ВОПРОСУ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СПОСОБА ПОЛУЧЕНИЯ МНОГОКОМПОНЕНТНЫХ ЛЕЧЕБНО-ПИЩЕВЫХ РАСТИТЕЛЬНЫХ ПРОДУКТОВ .....	40
<b>Т.Я. Мегрелидзе, Г.Т. Мегрелидзе, Р.А. Гахокидзе, В.В. Талаквадзе, Г.Л. Басиладзе.</b> ВЛИЯНИЕ КОНЦЕНТРАЦИИ ОЗОНА В ВОЗДУХЕ ХОЛОДИЛЬНОЙ КАМЕРЫ И ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТИ ЕГО ВОЗДЕЙСТВИЯ НА ПРОЦЕСС ХОЛОДИЛЬНОГО ХРАНЕНИЯ ФРУКТОВ И ОВОЩЕЙ .....	44

<b>З.Ш. Джапаридзе, М.Г. Хоштания. КИНЕТИКА ЭКСТРАКЦИОННОГО ПРОЦЕССА ПРИ ВЫДЕРЖКЕ КОНЬЯЧНОГО СПИРТА В ДУБОВЫХ БОЧКАХ .....</b>	<b>48</b>
<b>АРХИТЕКТУРА, УРБАНИСТИКА, ДИЗАЙН</b>	
<b>Т.Г. Кутателадзе, Г.Н. Багратион-Давиташвили. АРХИТЕКТУРА ТБИЛИСИ НА РУБЕЖЕ XIX-XX ВЕКОВ .....</b>	<b>51</b>
<b>БИЗНЕС-ИНЖЕНЕРИНГ</b>	
<b>А.А. Кобиашвили, Н.Р. Паилодзе, К.Т. Рамазашвили. ЭФФЕКТИВНОСТЬ АВТОМАТИЗАЦИИ В СФЕРЕ ПРОИЗВОДСТВА .....</b>	<b>55</b>
<b>ИНФОРМАТИКА, СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ</b>	
<b>Т.А. Пагава, Н.И. Майсурадзе, М.Г. Беридзе, И.Г. Каландадзе, Н.А. Эсиава. ИССЛЕДОВАНИЕ ОБЛУЧЕННЫХ ВЫСОКОЭНЕРГЕТИЧЕСКИМИ ПРОТОНАМИ КРИСТАЛЛОВ МЕТОДОМ ФОТО-ХОЛЛ – ЭФФЕКТА.....</b>	<b>61</b>
<b>М.Р. Мецихваришвили, М.Г. Беридзе, И.Г. Каландадзе, К.К. Барамидзе. ВЛИЯНИЕ ЧАСТИЦ КАРБОНАТА СТРОНЦИЯ НА МАГНИТНЫЕ СВОЙСТВА МАНГАНИТА САМАРИЯ.....</b>	<b>68</b>
<b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ .....</b>	<b>71</b>
<b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ .....</b>	<b>76</b>

# სამშენებლო სექცია

უაკ 627.824

გეტონის ბრავიტაციული კაშხლის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა  
ზყალსაცავის ჰსპერზე პიღროსტატიკური წნევის ბათვალის წინებით

ლ. გალდავა

პიდორინულერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>o</sup>

E-mail: leontina.galdava@gmail.com

**რეზიუმე:** მოცემულია ბეტონის გრავიტაციული კაშხლის სიმტკიცის ანალიზი როგორც მშენებლობის დროს, ისე ექსპლუატაციისას. განხილულია სისტემა „კაშხალი-ფუძე-წყალსაცავი“. გარდა კაშხლის საკუთარი წონისა და მის სადაწნეო წახნაგზე პიდროსტატიკური წნევისა, გათვალისწინებულია წყალსაცავის ფსკერზე წყლის პიდროსტატიკური წნევის მოქმედება. გაანალიზებულია ამ სამი ძალის გავლენა კაშხლის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე მათი სხვადასხვა კომბინაციის დროს. დადგენილია წყალსაცავის ფსკერზე პიდროსტატიკური წნევის გავლენა კაშხლის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე. კონკრეტულ საანგარიშო ობიექტად აღებულია 60მ სიმაღლის გრეისის კაშხალი (შვეიცარია).


**საკვანძო სიტყვები:** გრავიტაციული კაშხალი; კლდოვანი ფუძე; პიდროსტატიკური წნევა; საკონტაქტო კერძო; დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

## 1. შესავალი

კაშხლის, სიმტკიცის გაანგარიშების მეთოდები ე.წ. ელემენტარულ მეთოდთან – ბეტონის მასიური კაშხლის პირველ ანალიზურ საანგარიშო მეთოდთან შედარებით მნიშვნელოვნად დაიხევა. დღეს კაშხლის გაანგარიშებისას ძირითადად იყენებენ სასრული ელემენტების მეთოდს, რომელიც უძლიერესი საკვლევი იარაღია მკვლევრისათვის და ყველა შესაძლო საანგარიშო შემთხვევის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამ მეთოდს ვიყენებთ დასახული ამოცანის შესასწავლად.

## 2. ძირითადი ნაწილი

განხილულია საანგარიშო სისტემა „გრავიტაციული კაშხალი – კლდოვანი ფუძე – წყალსაცავი“, ბრტყელი დეფორმაციისას. გრავიტაციული კაშხლის ნიმუშად აღებულია 60 მ სიმაღლის გრეისის კაშხალი (შვეიცარია), რომლის სადაწნეო წახნაგი ვერტიკალურია და ცვალებადი დახრის უდაწნეო წახნაგი (0,68-დან 0,85-მდე). კაშხლის ზედა მონაკვეთის დახრა, ზღვის დონიდან 2387,5-დან 2378 მ-მდე არის – 0,25. კაშხლის ცენტრალური, ყველაზე მაღალი, განივი კვეთი მოცემულია 1-ელ ნახ-ზე.




ნახ. 1. გრავიტაციულ კაშხალ გრეისის განივი კვეთი

კაშხლის ფუძე კლდოვანი და ერთგვაროვანია. მისი დრეკადობის მოდული  $E_g = 1*10^4$  მგპა, ხოლო პუსონის კოეფიციენტი  $\nu = 0,25$ . კაშხლის ბეტონის დრეკადობის მოდული  $E_s = 2*10^4$  მგპა, ხოლო პუსონის კოეფიციენტი  $\nu = 0,2$ .

სისტემა დაყოფილია ბაზისებურად, სამკუთხა ელემენტებად. სულ 17022 ელემენტია. ამ რაოდენ

ნობიდან უშუალოდ კაშხალზე მოდის 3526 ელე-  
მენტი. კვანძების საერთო რაოდენობაა 8790.

საანგარიშო სქემის ძირითადი ნაწილი მოცე-  
მულია მე-2 ნახ-ზე.



**ნახ. 2. სისტემის “გრეისის კაშხალი – ფუძე – წყალსაცავი”  
საანგარიშო სქემა სასრული ელემენტების მეთოდით**

განხილულია სამი საანგარიშო შემთხვევა:

1. კაშხალზე მოქმედებს მხოლოდ საკუთარი წონა;
2. კაშხალზე მოქმედებს საკუთარი წონა და პიდროსტატიკური წნევა სადაწნეო წახნაგზე (ნორმალური საექსპლუატაციო მდგომა-  
რეობა);
3. კაშხალზე მოქმედებს საკუთარი წონა, პი-  
დროსტატიკური წნევა სადაწნეო წახნაგზე  
და ვერტიკალური პიდროსტატიკური წნევა  
წყალსაცავის ფსკერზე.

სამივე შემთხვევისათვის გაანგარიშებულია  
გადაადგილება, ფარდობითი დეფორმაცია, ძაბ-  
ვის კომპონენტები, მთავარი ძაბვა და მათი მი-  
მართვულებები როგორც ბადის ელემენტებში,  
ისე კვანძებში.

მიღებული კრიტერიუმითან მოვიყ-  
ვანთ მხოლოდ რამდენიმე შედეგს, რომლებიც  
საშუალებას გვაძლევენ გამოვიტანოთ დასკვნა-  
ოუ რა გავლენას ახდენს წყალსაცავის ფუძეზე  
ზემოქმედება კაშხლის დაძაბულ-დეფორმირე-  
ბულ მდგომარეობაზე.

შედეგების ანალიზისათვის შევარჩიეთ ათი  
განივი კვეთი და ერთი თხემის სიბრტყე. ბუნე-  
ბრივია, სისტემის კველაზე კრიტიკული და სა-  
პასუხისმგებლო კვეთი (კვეთი №11) არის კაშ-  
ხალსა და ფუძეს შორის.

ცხრილის ზედა ფრაგმენტში მოცემულია  
კვეთის ნორმერი და მდებარეობა ზღვის დონიდან,  
ხოლო ქვედა, ძირითადი ნაწილში – კვანძების  
ნუმერაცია, კოორდინატები, აგრეთვე  $\sigma_y$  ძაბვები  
კვანძებში შემდეგი საანგარიშო შემთხვევები-  
სათვის:

- საანგარიშო სისტემაზე მოქმედებს მხო-  
ლოდ საკუთარი წონა და პიდროსტატიკუ-  
რი წნევა კაშხლის სადაწნეო წახნაგზე;
- სისტემაზე მოქმედებს საკუთარი წონა,  
პიდროსტატიკური წნევა სადაწნეო წა-  
ხნაგზე და პიდროსტატიკური წნევა წყალ-  
საცავის ფსკერზე.


კვანძი №7080 არის კაშხლის სადაწნეო წახ-  
ნაგისა და ფუძის ზედაპირის გადაკვეთის წერ-  
ტილი, ხოლო კვანძი №7359 – უდაწნეო წახნა-  
გისა და ფუძის ზედაპირის გადაკვეთის წერტი-  
ლი, ცხრილში მოყვანილი სხვა წერტილები მათ  
შორის მდებარეობს.

ძაბვების გრაფიკული გამოსახულებები (ეპი-  
ურები) მოცემულია მე-3 ნახ-ზე. შედეგების  
ანალიზი გვიჩვნებს რომ წყალსაცავის ფსკერ-  
ზე მოქმედი ვერტიკალური პიდროსტატიკური  
წნევა შესამჩნევ გავლენას ახდენს კაშხლის  
წახნაგზე მოქმედი ძაბვის მნიშვნელობზე, თუმ-  
ცა კაშხლის ტანში ეს გავლენა უმნიშვნელოა.

ცხრილი

გასწორი	11
ნიშნული	124,5

წერტილი	7080	7310	7388	7383	7325	7324	7328	7327	7329	7359
X	128,72	129,50	132,19	132,96	134,58	135,44	138,13	139,04	139,96	144,73
Y	124,50	124,50	124,50	124,50	124,50	124,50	124,50	124,50	124,50	124,50
მხოლოდ საკუთარი წონა პიდროსტატიკური დაწევა სადაწნეო წახნაგზე	-328,45	-158,66	-104,34	-101,59	-90,78	-77,29	-80,51	-70,82	-78,06	-64,63
ყველა ძალის ერთობლივი მოქმედება	-517,80	-249,61	-150,40	-142,14	-122,31	-102,45	-99,28	-85,65	-91,84	-67,27



ნახ. 3.  $\sigma_y$  ძაბვები საკონტაქტო კვეთში (7080 – 7359). უწყვეტი და წყვეტილი ტეხილი -  $\sigma_y$  ძაბვები მეორე  
შემთხვევისათვის – ყველა ძალის ერთობლივი მოქმედება; მწვანე ტეხილი -  $\sigma_y$  ძაბვები პირველი  
შემთხვევისათვის – მხოლოდ საკუთარი წონა, პიდროსტატიკური წნევა სადაწნეო წახნაგზე

### 3. დასკვნა

1. ვერტიკალური პიდროსტატიკური წნევა წყალსაცავის ფსკერზე შესამჩნევ გავლენას ახდენს კაშხლის წახნაგზე ძაბვის მნიშვნელობაზე, თუმცა კაშხლის ტანში ეს გავლენა პრაქტიკულად არ იგრძნობა. გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადაწნეო წახნაგისა და ფუძის სიბრტყის გადაკვეთის წერტილში (№7080). ამ წერტილში  $\sigma_y$  ძაბვის მნიშვნელობა  $-328,62 \text{ MPa}$  ( $-3,2862 \text{ მგან}$ ) მხოლოდ კაშხლის საკუთარი წონისა და სადაწნეო წახნაგზე პიდროსტატიკური

წნევის გათვალისწინებით,  $11,27\%-ით$  განსხვავდება იმავე წერტილში  $\sigma_y$  ძაბვის მნიშვნელობისაგან ( $-295,33 \text{ MPa}$  ანუ  $-2,9533 \text{ მგან}$ ) დამატებით ვერტიკალური პიდროსტატიკური წნევის გათვალისწინების შემთხვევაში;

2. ვერტიკალური პიდროსტატიკური წნევა წყალსაცავის ფსკერზე ამცირებს მკუმშავ ძაბვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დამატებითი ძალური ფაქტორის გავლენა აუცილებლად გასათვალისწინებელია გაანგარიშებისას, განსაკუთრებით უფრო მაღალი კაშხლის გაანგარიშებისას.

UDC 627.824

## STRAINED-DEFORMATED CONDITION OF CONCRETE GRAVITATION DAM TAKING INTO ACCOUNT THE HYDROSTATIC PRESSURE AT THE BOTTOM OF RESERVOIR

**L. Galdava**Department of hydro- engineering, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** This work focuses on the analysis of strength of concrete gravitation dams. The following forces are acting on the system “dam-foundation-reservoir”: dead load, hydrostatic pressure on the upstream side and the vertical hydrostatic pressure at the bottom of the reservoir. The analysis is done for different cases of load combinations. The quantitative and qualitative pictures of impact of hydrostatic pressure acting at the bottom of the reservoir on the general mode of deformation of structure are determined. As a specific object of analysis the 60 m height Grace Dam (Switzerland) is selected.

**Key words:** gravitation dam; rocky boundation; hydrostatic pressure; contact section; strained – deformed condition.

УДК 627.824

## НАПРЯЖЕННО-ДЕФОРМИРОВАННОЕ СОСТОЯНИЕ БЕТОННОЙ ГРАВИТАЦИОННОЙ ПЛОТИНЫ С УЧЕТОМ ГИДРОСТАТИЧЕСКОГО ДАВЛЕНИЯ НА ДНО ВОДОХРАНИЛИЩА

**Галдава Л.А.**Департамент гидроинженерии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>b</sup>

**Резюме:** Работа посвящена анализу прочности бетонной гравитационной плотины. На систему «плотина-основание-водохранилище» действуют: собственный вес, гидростатическая нагрузка на напорную грань и гидростатическая нагрузка на дно водохранилища. Сделан анализ при разных комбинациях этих силовых факторов. Установлены количественные и качественные картины влияния гидростатической нагрузки на дно водохранилища, на общее напряженно-деформированное состояние сооружения. В качестве конкретного расчетного объекта выбрана плотина Грейс (Швейцария) высотой 60 м.

**Ключевые слова:** гравитационная плотина; скалистое основание; контактное сечение; напряженно-деформированное состояние.

მიღებულია დასაბუქდავ 13.03.14

UDC 627.824

## EFFECT OF SLOW STATIC CYCLIC LOADING ON THE STRENGTH OF A CONCRETE GRAVITY DAM

**A. Motsonelidze, L. Galdava\***Department of hydro-engineering, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

E-mail: leontina.galdava@gmail.com

**Resume:** This work focuses on a technique of static retrospective analysis of old concrete gravity dams. An attempt is made to match the material and structural model of a dam with the actual operation history of the

structure. The proposed technique consists of: a) non-linear-elastic fracture constitutive model for concrete in the plane strain condition and b) cyclic-induced degradation of stiffness and strength for dam concrete. Under cyclic loading the cycles of reservoir filling-discharge is

implied, i.e. loading-unloading of hydrostatic pressure to the dam and bottom of a reservoir. The number of cycles depends on the type of reservoir regulation.

**Key words:** gravity dam, rock foundation, cyclic loading, modulus of elasticity, strength of concrete, contact surface, stresses.

## 1. INTRODUCTION

There are presented the salient features of the various aspects of a numerical model for the analysis of existing gravity dams, which takes past loading history of the structure.

The constitutive model for the analysis of these dams is based on the nonlinear-elastic fracture formulation. The main advantage of this approach is that it can be easily implemented in any numerical analysis with the required input data for the model easily obtainable from the traditional uniaxial tests on concrete specimens. This model takes into account the effect of material fatigue under slow static cyclic loading. This approach allows us to account for the effect of the degradation of concrete strength under cyclic loading. To this end, the value of uniaxial compressive strength of concrete, in the constitutive equation can be substituted by the value of the strength of concrete, which has been appropriately modified in accordance with the number of loading-unloading cycles  $n$ .

## 2. THE BODY OF THE ARTICLE

The constitutive model based on the hypo-elastic (nonlinear-elastic fracture) formulation, is employed. This model realistically simulates a path-dependent irreversible stress-strain relationship. The main advantage of this approach is that it can be easily implemented in any numerical analysis with the required input data for the model easily obtainable from the traditional uniaxial tests on concrete specimens. The four-parameter failure criterion [1] is employed. This model is modified in order to take into account the effect of material fatigue under slow static cyclic loading. This approach allows us to account for the effect of the degradation of concrete strength (fatigue) under cyclic loading. To this end, the value of uniaxial compressive strength of concrete  $\sigma_c$  can be substituted by the value of the strength of concrete, which has been appropriately modified in accordance with the number of loading-unloading cycles  $n$ :

$\sigma_c = \sigma_c(n)$ . The value of strain  $\varepsilon_c$  associated with the maximum uniaxial compressive stress of concrete may also be modified in accordance with the number of loading-unloading cycles  $n$ :  $\varepsilon_c = \varepsilon_c(n)$ . It is obvious, that cyclic loading causes the degradation of concrete stiffness. This effect is accounted for the present model by means of modifying the value of the initial modulus of elasticity in accordance with the number of loading-unloading cycles  $n$ :  $E_0 = E_0(n)$ .

Cycling loading exhibits significant nonlinear behaviour and drastic changes in material properties of concrete. The result is a considerable degradation of material properties of concrete, as the number of applied loading-unloading cycles increases. In the present work, the empirical relationships based on the experimental findings on cyclic behaviour [2] are adopted. Very briefly, following the tests carried out on the concrete specimens of Enguri arch dam, which were subjected to slow static cyclic compressive loading, the following relationships were established to define the degradation of the material properties of concrete in relation to loading-unloading cycles:

$$\begin{aligned}\sigma_c(n) &= (1 - a_\sigma^n \lg n) \sigma_c \\ E_0(n) &= (1 - a_E^n \lg n) E_0 \\ \varepsilon_c(n) &= (1 - a_\varepsilon^n \lg n) \varepsilon_c\end{aligned}\quad (1)$$

where parameters  $a_\sigma^n$ ,  $a_E^n$  and  $a_\varepsilon^n$  define the degradation of the material properties of concrete under slow static cyclic loading and  $n$  is the number of loading-unloading cycles in accordance with the operation history of a gravity dam (it corresponds to the number of loading-unloading cycles of the reservoir during the operation of the dam).

The specific values of these parameters may only be determined by carrying out cyclic tests on concrete specimens. Nevertheless, a careful study of the results of the investigations suggests, that the values of the above parameters do vary within the following ranges:

$$\begin{aligned}0.05 \leq a_\sigma^n &\leq 0.25 \\ 0.10 \leq a_E^n &\leq 0.30 \\ 0.10 \leq a_\varepsilon^n &\leq 0.30\end{aligned}\quad (2)$$


Generally, the degree of degradation of the material properties of concrete increases in the number of loading-unloading cycles  $n$ .

The “dam-foundation-reservoir” system, within the plane strain problem, was considered. As a prototype of gravity dam the 60 m height Grace dam (Switzerland) was


adopted, which has vertical upstream face and downstream face with varying slope (0,68-0,85). The slope of upper part of this dam (between  $\nabla$  2387,5 and  $\nabla$  2378,0 m a.s.l.) equals 0,25. The dam has rock and uniform foundation. Its modulus of elasticity  $E_f = 1 \cdot 10^6$  t/m<sup>2</sup> and Poisson's ratio  $\nu = 0,25$ . The initial modulus of elasticity of dam concrete  $E_0 = 2 \cdot 10^6$  t/m<sup>2</sup> and Poisson's ratio  $\nu = 0,2$ . The system is divided into a mesh of triangular elements.

The system is divided into a mesh of triangular elements.


The total number of elements is 17022. From this amount the dam itself has 3526 elements. The total number of nodes is 8790. The major part of calculation scheme is shown on Fig. 1. The regulation scheme of the Grace reservoir is shown on Fig. 2. As this graph shows, the reservoir is of seasonal regulations. 48 years passed since its commissioning, i.e.  $n = 48$ .



**Figure 1. FEM scheme of the system “Grace dam-foundation-reservoir”**



**Figure 2. Scheme of regulation of the Grace reservoir**



**Figure 3.**  $\sigma_y$  stresses along the section #11 (contact surface) in  $t/m^2$

— Standard (dead load, hydrostatic pressure on the upstream surface and bottom of the reservoir);  
— Taking into account the cyclic loading

Computations were carried out according to the following sequence:

1. The design version of the system “dam-foundation-reservoir” was considered. As a modulus of elasticity of dam concrete its initial value  $E_0$  was adopted. Hydrostatic pressure and dead load are acting on a dam. The nodal displacements, strains, stress components, major stresses and their directions were determined;

2. The major stresses were analyzed by the expressions (1) and (2) taking into account the number of loading-unloading cycles  $n = 48$ . The values of the modulus of elasticity were specified. The initial modulus of elasticity  $E_0 = 2 \cdot 10^6 t/m^2$  was transformed into  $E(48) = 0,4 \cdot 10^6 t/m^2$  due to the cycles;

3. The system was computed again taking into account the specified value of the modulus of elasticity.

From the large number of results the only one, distribution of  $\sigma_y$  stresses along the section #11 (contact surface between dam and foundation), is presented on Fig. 3. The results clearly show, that due to cyclic loading the values of stresses are significantly reduced in the cross point of the foundation surface and upstream face.

At the other points of the section the values of stresses are changed to a little degree.

### 3. CONCLUSION

It is necessary to take into account the number of slow static cyclic loadings, when computing the mode of deformation of gravity dams has a long term operation history, because they significantly change the picture of stress distribution at the upstream face. Trend of changes is negative, i.e. the compressive stresses are reduced toward the tension stresses.

### References

1. S.S. Hsieh, E.C. Ting and W.F. Chen (1979) ‘An Elastic-Fracture Model for Concrete’, Proc. 3d Eng. Mech. Div. Spec. Conf., ASCE, Austin, Tex., 437-440;
2. V.Osidze, D. Khoperia. (1987) “Deformation Parameters of Concrete of Inguri Arch Dam subject to Static Cyclic Compressive Loading”, in Construction of Hydro Power Stations in Mountainous Regions, EnergoAtomIzdat, Moscow., pp. 52-58, (Rus).

**უაგ 627.824**

**627.824 სტატიკური ციკლური დატვირთვის ბაზების პეტონის გრავიტაციული პაშელის სიმტკიცეზე**

**ა. მოწონელიძე, ლ. გალდავა**

პიდროინუინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>6</sup>

**რეზიუმე:** მოცემულია ძველი ბეტონის გრავიტაციული კაშელის სტატიკური რეტროსპექტული ანალიზი. აქცენტი კეთდება ნაგებობის სტრუქტურისა და მასალის მუშაობაზე ექსპლუატაციის ისტორიის გათვალისწინებით. შემოთავაზებული მეთოდიკა ყერდნობა: 1) არატრაქციად დრეკადი რღვევის მოდელს ბრტყელი დეფორმაციისას და 2) კაშელის ბეტონის სიხისტისა და სიმტკიცის მაჩვენებლების შემცირების პრინციპს ციკლური დატვირთვის შედეგად. ციკლურ დატვირთვაში იგულისხმება წყალსაცავის ავსება-დაცლა ანუ სადაწეო წახნაგა და წყალსაცავის ფსკერზე პიდროსტატიკური წნევის მოდება-მოხსნა. ციკლის რაოდენობა დამოკიდებულია წყალსაცავის რეგულირების სახეზე.

**საკვანძო სიტყვები:** კაშელის გრავიტაციული ძალა; მთის ქანი; კლდე; ციკლური დატვირთვა; დრეკადობის მოდული; ბეტონის სიმტკიცე; კონტაქტური ზედაპირი; ძაბვა.

**УДК 627.824****ВЛИЯНИЕ МЕДЛЕННОЙ СТАТИЧЕСКОЙ ЦИКЛИЧЕСКОЙ НАГРУЗКИ НА ПРОЧНОСТЬ БЕТОННОЙ ГРАВИТАЦИОННОЙ ПЛОТИНЫ**

**Моцонелидзе А.Н., Галдава Л.А.**

Департамент гидроинженерии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава 68<sup>6</sup>

**Резюме:** Работа посвящена статическому ретроспективному анализу старых бетонных гравитационных плотин. Акцент делается на работу структуры сооружения и его материала с учетом истории эксплуатации. Предлагаемая методика основывается на: 1) нелинейно-упругой модели разрушения в пределах плоской деформации и 2) принципе уменьшения показателей жесткости и прочности во время циклической нагрузки. Под циклическими нагрузками подразумевается наполнение-опорожнение водохранилища, т.е. приложение-снятие гидростатической нагрузки на напорную грань и дно водохранилища. Количество циклов зависит от вида регулирования водохранилища.

**Ключевые слова:** гравитационная сила плотины; горная порода; скала; циклическая нагрузка; модуль упругости; прочность бетона; контактная поверхность; напряжение.

*მიღებულია დასაბუქდად 13.03.14*

შაპ 662.76

**სათბობის ეკონომიკა საქართველოს არაბაზიზიცირებულ რეგიონებში  
აღგილობრივი მქარი საწვავით მომუშავე ბათბობის მაღალებების  
შვაბების გამოყენებით**

**დ. კუჭუხიძე, ნ. მურდულია, ს. გიუტაშვილი\***

წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგებისა და შენობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტა-  
მენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას 68<sup>3</sup>

E-mail: sgutashvili@yahoo.com

**რეზიუმე:** განხილულია სათბობის ეკონომიკის საკითხები მყარი სათბობით მომუშავე გათბობის ქვაბების გამოყენებით. სამწუხაროდ, საქართველოში შეშა ფართოდ გამოიყენება სათბობად. ის ლიმიტირებული ენერგორესურსია, რომელიც სწრაფად მცირდება. შეშის საწვავად გამოყენება დაკავშირებულია ქვეყნის აუნაზღაურებელი სიმ-  
დიდრის – ტყის გაჩეხვასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ძირითადად დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე მყარი საწვავით მომუშავე ქვაბების დანერგვით. ასეთი ქვაბების მქონების მქ კოეფიციენტი 88-92%-ია. ამ ქვაბების გამოყენება უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობას. შეშის ხარჯი მცირდება 2,5-ჯერ და მეტად (ტრადიციული, ძველი ტიპის ღუმლის მარგი ქმედების კოეფიციენტი არ აღემატება 25-30%-ს). იგი სავსებით აქმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ქვაბების ექსპლუატაცია არ მოითხოვს მაღალ კვალიტეტის ცეცხლფარეშის მომსახურებას. ავტომატური მართვის სისტემა საიმედოდ მუშაობს საჭირო დაცვის გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** გათბობის ქვაბი; მყარი სათბობი; არაგაზიფიცირებული რეგიონი; ეკო-ლოგია; წყის პროცესი; კენტილატორი.

## 1. შესავალი

საქართველოს ტყებს მრავალგვარი სოციალურ-ეკონომიკური და ეკონომიკური ფუნქცია აქვს (წყალმარებულირებელი, ნიადაგდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური, საკურორტო-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და სხვა), რომელთა სწორად რეგულირებას და შენარჩუნება-გაძლიერებას დიდი სახელმწიფო მინიშვნელობა ენიჭება.

ძალიან მნიშვნელოვანია ტყის წყალმარებულირებელი ფუნქცია. ის ხელს უწყობს მდინარეებისა და წყლის სხვა რესურსების (ტყები, წყაროები და სხვა) ნორმალურ და თანაბარ მომარაგებას წყლით, აფერხებს წყალდიდობას, უზრუნველყოფს წყლის ხარისხის გაზრდას, იცავს მას დაბინძურებისგან. არანაკლებ მნიშვ-

ნელოვანია ტყის როლი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისა და ეროზისაგან დასაცავად. ტყე იძლევა მრავალგვარ ძვირფას პროდუქტება და ნედლეულს. ის არის მრავალფეროვანი ფაუნის აღილსამყოფელი. დიდია ტყის რეკრეაციული და ტურისტული მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, საქართველოში შეშა ფართოდ გამოიყენება სათბობად. საქართველოში არ არსებობს სამრეწველო ტყე, შეშა ლიმიტირებული ენერგორესურსია, რომელიც სწრაფად მცირდება. შეშის საწვავად გამოყენება დაკავშირებულია ქვეყნის აუნაზღაურებელი სიმდიდრის – ტყის გაჩეხვასთან.

## 2. ძირითადი ნაწილი

ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ალტერნატიული საწვავის გამოყენებით და დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე მყარი საწვავით მომუშავე ქვაბების დანერგვით. ასეთი ქვაბების მქ კოეფიციენტი 88-92%-ია.

მაღალეფებული ქვაბი (იხ. სურათი) მუშაობის პრინციპითა და მოწყობილობით განსხვავდება კლასიკური ტიპის მყარი საწვავით მომუშავე ქვაბისაგან. ძირითადი განსხვავდება ქვაბის პრინციპი, რომელსაც საფუძვლად უდევს მყარი საწვავის თერმული დაშლა.


კონსტრუქციულად ის შედგება ერთმანეთზე განლაგებული ორი კამერისაგან. ზედა კამერა გათვალისწინებულია ხეტყის და მისი ნარჩენების ჩასატვირთად. აქვე ხდება მათი მშრალი გამოხდის პროცესი და გამოიყოფა აქროლადი გაზები – ძირითადად ნახშირწყალბადები, წყალბადი, ნახშირორგანგი და სხვა. შეშის მშრალი გამოხდის საბოლოო პროდუქტია ხის ნახშირი – პრაქტიკულად სუფთა ნახშირბადი. ცხელი აქროლადი გაზები პირველი კამერიდან გადადის მეორეში, სადაც წევა ხორციელდება დამატებითი მეორეული პარენის საშუალებით. გამოყოფილი სითბო გადაეცემა გაზი-წყალი ტიპის თბომცვლელს, წყალი თბება 90°C-მდე და ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება გათბობის და ცხელი წყლით მომარაგების სისტემას. წვისათვის საჭირო პარენი მიეწოდება შემბერი ვენტილატორის ან კვამლსაწოვის მეშვეობით. ისიც აღსა-

ნიშნავია, რომ ასეთ ქვაბზი გამავალი ნამწვი აირების ტემპერატურა საკმაოდ დაბალია.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში ხის მერქნის ძირითადი მომსხარებელი სოფლის მოსახლეობაა, რომელიც მთლიანი მოსახლეობის 47,5 %-ს შეადგენს და რომლის უდიდესი ნაწილისათვის სათბობის სხვა წყარო უბრალოდ მიუწვდომელია (მაღალი ფასისა და ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო), ნათელი გახდება, რომ ხეტყის ასეთი მასშტაბით

გამოყენება ქვეყანას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააუქნებს.

აღნიშნულ ეკოლოგიურ სიტუაციას შეიძლება მოჰყვეს: ტყის წყლის შემნახველი და მარეგულირებელი, აგრეთვე ნიადაგდამცავი ფუნქციების მკვეთრად გაუარესება, შედეგად – წყალდიდობებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის გაზრდა პიდროლექტროსადგურის წყლით მომარაგების ციკლურობის დარღვევა, წყალსაცავების ჩამონაბანით დაბინძურება და ა.შ.



შესახე მომუშავე მაღალეფექტური ქვაბი (გამარტივებული სქემა)

სათბობის წვის პროცესი მიმდინარეობს ნელი ტემპით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სათბობის ჩატვირთვის ინტერვალს და, შესაბამისად, ამცირებს საექსპლუატაციო ხარჯს.

სათბობის ჩატვირთვა ხდება 12-14 საათის ინტერვალით (შესაძლებელია ჩატვირთვის ინტერვალის გაზრდა 36 საათამდე). ქვაბი ადგურვილია აგტომატური მართვის სისტემებით, ექსპლუატაციის ვადა 15-20 წელია.

სათბობი პრაქტიკულად უნაცროდ იწვის და ეკოლოგიურად სუფთაა. ამ ქვაბის გამოყენება უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობას (შემის ხარჯი მცირდება 2,5-ჯერ და მეტად) ტრადიციულ, ძველი ტიპის ღუმელთან შედარებით, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი არ აღემატება 25-30%-ს და სავსებით აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამ ქვაბის ექსპლუატაცია მარტივია ისეგა, როგორც გაზით მომუშავე ქვაბის ექსპლუატაცია. არ მოითხოვს მაღალეფალიფიციური ცეცხლფარეშის მომსახურებას. აგტომატური მართვის სისტემა საიმედოდ მუშაობს საჭირო დაცვის გამოყენებით.

სათბობად გამოიყენება ადგილობრივი ნედლეული: დაბალი ხარისხის შეშა, ხეტყის ნარ-

Рис.1 График распределения частоты появления события «эффективная смена»

$$P_1 = (687 - 47)/909 = 0,701.$$

Проводя аналогичные расчеты, получаем:

$$P_2 = [687 - (47 + 68)]/909 = 0,628; P_3 = 593; P_4 = 593; P_5 = 0,531; P_6 = 460; P_7 = 0,400; P_8 = 0,385; P_9 = 350;$$

$P_{10}=0.300$ ;  $P_{11}=0.223$ ;  $P_{12}=0.187$ ;  $P_{13}=0.147$ ;  
 $P_{14}=0.133$ ;  $P_{15}=0.100$ ;  $P_{16}=0.047$ ;  $P_{26}=0.029$ .

Исходя из этих расчетов, можно заключить: проводя эксперимент в течение одной смены, и заведомо зная, что с вероятностью 0.76 она будет «эффективной», полученные вследствие эксперимента искомые результаты будут достоверны с низкой вероятностью  $P=1-0.756=0.244$ .

Достоверность эксперимента будет возрастать с увеличением количества смен следующим образом:

$P_1=1-0.756=0.244$ ;  $P_2=1-0.704=0.296$ ;  $P_3=1-0.628=0.372$ ;  $P_4=0.407$ ;  $P_5=0.469$ ;  $P_6=0.540$ ;  $P_7=0.600$   
 $P_8=0.615$ ;  $P_9=0.650$ ;  $P_{10}=0.700$ ;  $P_{11}=0.777$ ;  $P_{12}=0.813$ ;  
 $P_{13}=0.853$ ;  $P_{14}=0.867$ ;  $P_{15}=0.900$ ;  $P_{16}=0.953$ ;  $P_{26}=0.971$ .

### 3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Таким образом, при проведении активного эксперимента, например, по улучшению качества труб, управляя тем или иным (выбранным) параметром процесса прокатки на автоматстане 400 Руставского

металлургического комбината, получаем достаточную для производственных условий достоверность эксперимента  $P=0.813$ . Такая достоверность эксперимента получается при проведении его в течение 12 смен подряд с постоянным выходом «эффективной смены».

### ЛИТЕРАТУРА

- Папава К.Г., А.И. Тутберидзе А.И., Оклей Л.Н. Критерий надежности эксперимента при исследовании качества труб // Сообщения АН ГССР, #3, 1974, с. 645-647.
- Оклей Л.Н., Тутберидзе А.И. Планирование эксперимента на РМЗ // Сообщ. АН ГССР, #2, 1986, с. 445-448.
- Адлер Ю.Ф. Введение в теорию планирования эксперимента. М.: Наука, 1969.-276 с.
- Митопольский А.К. Техника статистических исследований – М.: Наука, 1971.

უაკ 621.774. 333

საქართველო პირობებში საიმედო ექსპრიმენტის დაგეგმვის მეთოდის შესახებ  
ა. თუთბერიძე, კ. პაპავა, ს. მებონია

მეცნალურების, მასალათმცოდნების და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69

**რეზიუმე:** მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების საფუძველზე შემუშავებულია საწარმოო პირობებში საიმედო ექსპრიმენტის დაგეგმვის მეთოდიკა.

დადგენილია, რომ საწარმოო პირობებისათვის ექსპრიმენტის საკმარისი უეჭველობა მიიღება მისი ზედიზედ 12 ცვლის განმავლობაში ჩატარებისას მუდმივი დადებითი გამოსავლით.

**საკვანძო სიტყვები:** მილის გლინვა; შედეგების არასტაბილურობა; ექსპრიმენტის დაგეგმვა; უტყუარობა; ალბათობა; ავტომატური დგანი 400.

UDC 621.774. 333

ON THE METHODS OF PLANNING A RELIABLE EXPERIMENT IN PRODUCTION CONDITIONS

A.Tutberidze, K. Papava, S. Mebonia

Department of metallurgy, materials science and metal working, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There have been developed the methods of planning a reliable experiment for mass production conditions on the basis of mathematical statistics.

According to the methods evolving; reliability of the obtained results will have a fully high ( $P=0.8$ ) probability.

**Key words:** rolling of tube; automatic tool 400; non-stability of results; planning of experiment; reliable; probability.

მიღებულია დასაბუქრად 13.03.14

# სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სექცია

უაკ 69.1:628.611

ეპონომიკური სუბიექტების პონტურმნიული პოლიტიკა და მისი როლი  
ძველის ეპონომიკის განვითარებაში

გ. ტყეშელაშვილი, ა. მებონია\*

ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>მ</sup>

E-mail: a.mebonia@gtu.ge

**რეზიუმე:** განხილულია კონკურენციული პოლიტიკის როლი ეკონომიკის განვითარებაში, კონკურენციის არსი, მისი ძირითადი მიზანი და ამოცანები, მათთან დაკავშირებული სირთულეები. დასახულია ამ ამოცანების გადაჭრის გზები.

**საკანონო სიტყვები:** კონკურენცია; ბაზარი;  
ბიზნესი.

## 1. შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარი წინაპირობა არის ცივილიზაციული და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, მისი ერთ-ერთი საფუძველთაგანი კი – ეკონომიკაში რეალური კონკურენციის არსებობა.

კონკურენცია არის ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ისეთი შეჯიბრი, რომლის დროსაც მათი დამოუკიდებელი მოქმედებები უფასებრიანად ზღუდავს თითოეულის შესაძლებლობას ცალმხრივად იმოქმედოს საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე შესაბამის სასაქონლო ბაზარზე. კონკურენცია არის ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების შეტოვება კაპიტალის ოპტიმალურად გამოყენების მიზნით. კონკურენციის არარსებობის პირობებში მომსმარებელს გაცილებით მეტი თანხის გადახდა მოუწევდა სასურველი საქონლის შესაძნად, ვიდრე რეალურად დირს [5].

კონკურენცია უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ, ცხადია, შედარებით მარტივი სახით. იმ სახით, როგორიც დღეს არის გაბატონებული, კონკურენცია განვითარდა ეკონომიკური შუასაუკუნო-

ვანი პრივილეგიების ლიკვიდირების და კაპიტალიზმის თანდათან დამკიდრების შემდეგ. კონკურენციის ცნების დახვეწა-განვითარებას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ბიძგი მისცა შრომის საზოგადოებრივი განაწილების დამკიდრებამ და სხვა ფაქტორებმა.

## 2. ძირითადი ნაწილი

კონკურენცია ეკონომიკის მდგრადი განვითარების საწინდარია, რადგან სტიმულს აძლევს მოთხოვნილი პროდუქციის ფართო ასორტიმენტის წარმოებას საჭირო რაოდენობით და ნაკლებ ფასად, ასევე ტექნიკურ პროგრესს (მოთხოვნის ზრდა თავის მხრივ ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას), რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, ბაზრის სტრუქტურის განახლებას.

კონკურენცია შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფალი ბაზრის სიმბოლოდ, საბაზრო ურთიერთობების ძირითად ქვაკუთხედად, რომლის საფუძველზეც ხდება საბაზრო მეურნეობის და თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის ძირითადი პრიციპების შესრულება.

კონკურენციის ფაქტორი ასევე დიდია ამა თუ იმ სახის პროდუქციის ფასწარმოქმნის პროცესში. მის როლს ითვალისწინებენ სასაქონლო ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებისას. აღნიშვნული ფაქტორი ხელს უწყობს მომხმარებლისთვის მეტაპლებად მისაღები ფასის ფორმირებას. ასე რომ, კონკურენცია ფასწარმოქმნის მნიშვნელოვანი ელემენტია.

კონკურენციის ძირითადი მიზანები და ამოცანებია:

- ლოგალური თვალთახედვით ანუ მეწარმის პოზიციიდან უპირატესობის მოპოვება ბაზრის ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და ამის შედეგად მაქსიმალური მოგების მიღება.

- გლობალური თვალთახედვით ანუ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის კონკურენციული ბრძოლის თანაბარი პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს ბაზრის სტაბილურობას და მდგრადობას.

კონკურენციის მექანიზმის მოქმედებისას აისახება როგორც მომხმარებლის, ისე მწარმებლის ინტერესები. მაქსიმალური მოგებისაკენ სწრაფვა მწარმოებელს დანახარჯების შემცირებისაკენ მიმართავს, რაც შესაძლებელია წარმოების ოპტიმიზაციით – ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით, მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომის ორგანიზაციის სრულყოფით და სხვა. შედეგი პროდუქციის ერთეულის ფასის შემცირებაა, რაც მოგების გაზრდის საწინარია [5].

ზოგადად კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ თეზის, რომლის მიხედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. კონკურენციული პოლიტიკის მექანიზმები საფუძველს უქმნიან საბაზრო ურთიერთობებს და ხელს უწყობენ ისეთი კონკურენტუნარიანი ფირმების შექმნა-განვითარებას, რომლებსაც ძალაუფლობის წარმატებული მოღვაწეობა ქვეყნის მასშტაბით, ისე მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში. ზოგადად, კონკურენციის პოლიტიკის მიზანი მომხმარებლის კეთილდღეობაა. აღნიშნული არის: კონკურენციული პოლიტიკის ტექნიკური ფუნქცია, რომელიც უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან კონკურენციის ხელშეწყობისა და ეკონომიკური ეფექტურობის ზრდას; მომხმარებლის დაცვა – ინდივიდის დაცვა დიდი ბიზნესის გან, რაც მორალური ან პოლიტიკური მიზნებითაა განპირობებული.

აღნიშნული დადებითი ფაქტორები (რომლებიც აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე) ეფექტიანია მაშინ, როდესაც ადგილი აქვს რეალურ, ჯანსაღ კონკურენციას და არა ამა თუ იმ ეკონომიკური სუბიექტის ან სუბიექტების მიერ ბაზრის არსებული მდგრმარეობის, ასე ვთქვათ ”ბოროტად გამოყენებას” (მაგ.: კარტელური შეთანხმება ფასის დაწესებასთან დაკავშირებით,

კონკურენტი ბიზნესის ჩაგდებისთვის ბრძოლის არასამართლებრივი და ზოგჯერ ბინდური მეთოდების გამოყენება, ფარული გარიგება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურასთან და სხვა), რაც არცთუ იშვიათია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ამოცანაა იმ სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და, რაც მთავარია, შესრულება, რომლებიც უზრუნველყოფებ შესაბამის სასაქონლო ბაზრების დომინანტი ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან არსებული მდგრმარეობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების ალბათობის მაქსიმალურად შეზღუდვას, მსგავსი ფაქტების გამოვლენას და აღკვეთას.

იქ, სადაც მცირეა ბაზრის მოცულობა და მწარმებელთა რაოდენობა, ადგილად იბადება მონოპოლიური და ოლიგოპოლიური სტრუქტურები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩაურევლობა ბაზარზე ხშირად მიჩნეულია, როგორც მონოპოლიის ხელშეწყობა, რაც მკვეთრად უარყოფითი შედეგების მომტანია [1].

როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, ისე კერძო ბიზნესის დონეზე კონკურენციის როლის უგულებელყოფამ, მისი მოსალოდნებლი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გაუთვალისწინებლობამ, შეიძლება საქმე კრიზისამდე მიიყვანოს.

თანამედროვე ტიპის პროგრესული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია შეზღუდული ეკონომიკური რესურსების ოპტიმალური განაწილება საბაზრო მეურნეობის პირობებში, სადაც მაქსიმალურად დაცულია კონკურენტული გარემო.

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ საზოგადოების ეკონომიკურ წარმატებას ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული ურთიერთობები განაპირობებს [3].

კონკურენციული პოლიტიკის საკითხები უშალოდაა დაკავშირებული „ბიზნესის ეთიკის“ საკითხებთან. კონკურენციულ ბრძოლაში წარმატების ერთ-ერთი საწინარია ბიზნესის ეთიკის ნორმების მაქსიმალურად დაცვა ეკონომიკური სუბიექტის მხრიდან. კონკურენციული ბრძოლის და ბიზნესის ეთიკის ნიუასები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. ბიზნესის ეთიკისა და ქცევის წესების პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: ეკონომიკური სუბიექტი ვერ ახერხებს სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც აისახება მის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ჯერ თანდათანობით, შემდეგ კი მკვეთრ გაუარესებაში, რაც იწვევს მომხმა-

რებლის სკეპტიციზმს და ესა თუ ის ბიზნესობიექტი თანდათან კარგავს მომხმარებელს (დახურვა, ლიკვიდაცია). ეს მოსაზრება მეტწილად ეხება კვების ობიექტებს, რომელთაც მომხმარებელი, ასე თუ ისე, სტაბილურად ჰყავთ. ზოგ შემთხვევაში ისინი მაინც ინარჩუნებენ მომხმარებელს (მცირე დანაკარგის გამოკლებით), რადგან მომხმარებელი მიჩვეულია კონკრეტულ ადგილას ერთი და იმავე სახის პროდუქციის შეძენას, თაგან არიდებს შორს წასვლას და სჯერდება იმას, რაც არის. ასეთი სურათი გვაქვს კონკურენციის არარსებობის ან არასაგმარისი კონკურენციის პირობებში. კონკრეტულ ადგილას სხვა ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს ფუნქციონირების შემთხვევაში X მეწარმე იძულებული იქნება იზრუნოს (მაქსიმუმი გაიღოს) მომხმარებლის შესანარჩუნებლად, რადგან ეს უკანასკნელი პოტენციურად Y მეწარმის მომხმარებელიცაა და წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი გახდება Y მეწარმის კლიენტი.

კონკურენცია აიძულებს მეწარმეს იყოს მუდმივად მობილისტებული, რათა პროდუქციის წარმოების პროცესი ჩავარდნის გარეშე წარიმართოს, ვინაიდან კონკურენციის მკაცრი კანონებიდან გამომდინარე, მეწარმე მყის დაკარგავს მომხმარებელს, რომელიც მისი კონკურენციის მომხმარებელი გახდება, ამიტომ თითოეული ეკონომიკური სუბიექტი კონცენტრირებული იქნება არა, მაგალითად, ნედლეულის ეკონომიკურ, რაც უარყოფითად აისახება პროდუქციის ხარისხზე, არამედ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობებებასა (თუნდაც მასზედ გაწეული დანახარჯების გაზრდის შემთხვევაში) და ამით მეტი მომხმარებლის მოზიდვაზე [4]. შედეგად მოგებული დარჩება არა მარტო მომხმარებელი, არამედ მეწარმეც და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკაც. ასე ხდება მირითადად დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

ეკონომიკაში აღიარებული არაერთი მეცნიერის მოსაზრებით, სრულყოფილი კონკურენცია ბუნებაში არ არსებობს და ეს მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა [2], მაგრამ, მიგვაჩინა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში, ამ კონკრეტული მომართულებით მიზანი უნდა იყოს სრულყოფილებისკენ სწრაფვა. ეს იმაზე უკეთესი შედეგის მომტანია, გილრე დაყაბულება, რომ სრულყოფილი კონკურენცია ხონსენსია და შეუძლებელია მისი მიღწევა, რადგან უოველთვის იქნება ბიზნესისა და ეკონომიკის ჩრდილოვანი კონ-

ტროლი. პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოების აზროვნების სტილის შეცვლა გარკვეული სტერეოტიპების აღმოფხვრის გზით, იმის შესახებ, რომ კლანურობა არა მარტო ეკონომიკას, არამედ პოლიტიკასაც და საზოგადოებრივი ყოფის სხვა სფეროებსაც ეხება. ზოგადად ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელია გარკვეული სტერეოტიპების „ტყვეობაში ყოფნა“. აუცილებელია ამ სტერეოტიპების აღმოფხვრა ჯერ საზოგადოების დონეზე. ნებისმიერი მიმართულებით ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას მიზანი უნდა იყოს შესაძლებლიდან მაქსიმუმის დაგეგმვა და მიღება, ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლოდ და არა რამდენიმე ჩინოვნიკისა და ბიზნესმენის გასამდიდრებლად. ამ მოსაზრებას, ზოგადად, ყველა ეთანხმება, მაგრამ, რეალურად, აღნიშნული არასრულყოფილად ხორციელდება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბოლო 20-22 წლის განმავლობაში ეკონომიკის განვითარების დინამიკა არამყარია, რისი ნიშანიც ამ პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილის გადარიბებაა; მაგრამ აღსანიშნავია ეკონომიკური აღმავლობის პერიოდებიც (2005-2008 წლის I ნახევრამდე), რომელიც, სამწუხარიდ შეტერდა საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო.

სრულყოფილი კონკურენციის თეორიული მოდელის საფუძვლად იგულისხმება ფასის განსაზღვრა კონკრეტულ შემთხვევაში არსებული მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის მიხედვით. ასევე აღსანიშნავია:

1. მრავალი დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტის და მომხმარებლის არსებობა, რომელთანან ვერც ერთი ვერ შეძლებს ფასების დიქტატს;
2. ბაზარზე იღენტური საქონლის გამოტანა;
3. ყველა ეკონომიკური სუბიექტისა და მომხმარებლისთვის საქონლის ფასებზე სრული ინფორმაციის არსებობა;
4. იმ შეზღუდვების გამორიცხვა, რომელიც ხელს შეუშლიდა ბაზარზე ახალი ეკონომიკური სუბიექტის შემოსვლას და სხვ.

### 3. დასკვნა

საბაზრო ურთიერთობათა რელსებზე ქვეყნის ეკონომიკის მოდიფიკაციის პროცესი რომ როგორია, ბოლო ათწლეულებმა გვიჩვენა (ეს ზოგადად პოსტინციალისტური სივრცის ყველა ქვეყანას ეხება). ყველგან, სადაც ეს პროცესი მეტნაკლები წარმატებით განვითარდა, დადებითი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორი იყო სა-

ხელმწიფოს პოლიტიკური ნება, რაც გამოიხატება გატარებული ეკონომიკური რეფორმებით, რომელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია თანამიმდევრული კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც უნდა იყოს პარმონიზებული გარე სამყაროსთან. ამისათვის ჯერ საზოგადოებრივი აზრი უნდა იყოს მომზადებული, ვინაიდან აუცილებელია საზოგადოების მზაობა ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისთვის ბრძოლაში, რომ სახელმწიფო დონეზე განხორციელდეს იმ ტიპის ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც საბოლოოდ წარმატების მომტანი იქნება ქვეყნისათვის.

### ლიტერატურა

1. პ. ლეიაშვილი. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბილისი: აზრი, 1996.- 60 გვ.
2. ვ. პაპავა. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბილისი: მეცნიერება, 1995.- 203გვ.
3. რ. ასათიანი. ეკონომიკის. თბილისი: თსუ, 1996.- 228გვ.
4. ლ. გარდიშვილი. კონკურენტული გარემოს ფორმირების მეთოდების სრულყოფა საქართველოში. თბილისი: თსუ, 1999.- 120გვ.
5. გ. ოოდუა, რ. გოგოხია, რ. ქუბიძე. ეკონომიკის პრინციპები (ლექციების კურსი). თბილისი: 2008.- 176გვ.

**UDC 69.1:628.611**

## COMPETITION POLICY OF ECONOMIC SUBJECTS AND ITS ROLE IN DEVELOPMENT ECONOMY OF COUNTRY

**G. Tkeshelashvili, A.Mebonja**

Department of transport and mechanical engineering, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the role of a competition policy in economy development, essence of the competition, its main purposes and problems, difficulties connected with their achievement. There are planned certain ways for the solution of these tasks.

**Key words:** competition; market; business.

**УДК 69.1:628.611**

## КОНКУРЕНТНАЯ ПОЛИТИКА ЭКОНОМИЧЕСКИХ СУБЪЕКТОВ И ЕЕ РОЛЬ В РАЗВИТИИ ЭКОНОМИКИ СТРАНЫ

**Ткешелашвили Г.В., Мебония А.С.**

Департамент транспорта и машиностроения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>b</sup>

**Резюме:** Рассмотрена роль конкурентной политики в развитии экономики, сущность конкуренции, ее основные цели и задачи, трудности, связанные с их осуществлением. Намечены определенные пути для решения этих задач.

**Ключевые слова:** конкуренция; рынок; бизнес.

გილებულია დასაბუქდა 21.03.14

**შაბ 613292**

## მცენარეული ნედლეულისბან მრავალკომარნენტიანი საპვებ-სამპურნალო პროდუქციის მიღების გაუმჯობესების გზები

**თ. მეგრელიძე, ვ. ლევანიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადადაშვილი\*, ბ. ლევანიანი**  
კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>ა</sup>

E-mail: etosadagashvili@gmail.com

**რეზიუმე:** განხილულია მრავალკომპონენტიანი საკებ-სამკურნალო მცენარეული პროდუქტის წარმოების არსებული ტექნოლოგია. ნაჩვენებია, რომ მიღებული საბოლოო პროდუქტის ხარისხის გასაუმჯობესებლად სასურველია ყველა კომპონენტის ერთდროულად გადამუშავება დამჭერილებული საფიქსაციო მანქანაში. შემოთავაზებულია დამჭერილებული საფიქსაციო მანქანის მკვებავი მოწყობილობა და მოცემულია მისი მწარმოებლობის განსაზღვრის მეთოდიკა.

**საკვანძო სიტყვები:** კომპონენტები; ნედლეული; ხარისხი; ფიქსაცია; დამჭერილებული საფიქსაციო.

### 1. შესავალი

დღევანდვლი მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი მაღალეფების უზრუნველყოფით პროდუქტების და სამკურნალო საშუალებების წარმოებას, რომლებიც ძალზე სასარგებლო იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეული, რომელიც ხასიათდება მრავალმრივი კვებითი, სამკურნალო თვისებებით და შეიცავს უამრავ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას. მათგან შესაძლებელია ეკოლოგიურად სუფთა და მრავალკომპონენტიანი ფუნქციური პროდუქტებისა და კარგი ბიოლოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალებების მიღება.

### 2. ძირითადი ნაწილი

საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სასარგებლო თვისებების მაქსიმალურად შენარჩუნებისათვის საჭიროა ამ ნედლეულის გადა-

მუშავება ისეთ პირობებში, როდესაც არ მოხდება მცენარის უჯრედისგან გამოსული წვენის ფარმენტაცია. ამისათვის დამუშავებულია მცენარეული ნედლეულის გადამუშავებების მეთოდი და მისი რეალიზაციისათვის საჭირო დამჭერილებრ-დამჭერილებების საფიქსაციო მანქანა, რომელშიც ხორციელდება გადასამუშავებელი ნედლეულის ჰყლები-დამჭერილებები. ამის შედეგად უჯრედშიგა კაპილარული წვენი გამოიდევნება ზედაპირზე. ეს განაპირობებს გარემოსთან ფერმენტების საკონტაქტო ფართობის მკვეთრ ზრდას. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურის (100–110 °C) წელის ორთქლის გარემოში, რის შედეგადაც პროდუქტის ყველა ნაწილის ტემპერატურა 2–3 წელში აღწევს 55–60 °C-ს. ეს აუცილებელი და საგარეოსა ფერმენტების ინაქტივაციისა და პროდუქტის არსებული ნივთიერებების საწყისი მონაცემების ფიქსაციისათვის.

საკვებ-სამკურნალო მცენარეების დიდი ნაწილი უშუალოდ ცალკე გამოიყენება, რისთვისაც არსებობს მათი გადამუშავებების და სამკურნალო საშუალებების წარმოების შესაბამისი ტექნოლოგიები. მაგრამ, როგორც სამკურნალო, ისე კვების დანიშნულებით სამკურნალო საშუალებების დიდი ნაწილი გამოიყენება ნარევების სახით. ამისათვის ხორციელდება წინასწარ საბოლოო პროდუქტის სახემდე ცალკე მომზადებული მცენარეული კომპონენტების უშუალოდ გამოყენების წინ კუპაჟირება და სასურველი შედეგების ნარევის მიღება. შეიძლება აღინიშნოს, რომ წინასწარ საბოლოო სახემდე დაყვანილი კომპონენტების შერევის ეფექტურობა მცირეა. ვერ ხერხდება ცალკეული კომპონენტების ყველა სასარგებლო თვისების შენარჩუნება. ამის გამო, მრავალკომპონენტიანი საკვები და სამკურნალო საშუალებების თვისებები გაუარესებულია ცალკეული კომპონენტების თვისებებთან შედარებით. ამ თვისებების გაუმჯობესება

შესაძლებელია ნერევში შემავალი კომპონენტების ერთობლივი გადამუშავების შემთხვევაში.

მაღალხარისხიანი მრავალქომპონენტიანი პროდუქტის მიღების უკეთესი გზა არის სხვადასხვა მცენარეული ნედლეულის ფოთლების ერთობლივი გადამუშავება. ამ შემთხვევაში უშააღლოდ გადამუშავების პროცესში ყოველი კომპონენტის ფოთლები ერთდროულად და ერთნაირად დაქუცმაცდება. ამ კომპონენტების ნაწილაკების გახლუნილი უჯრედებიდან ერთდროულად გამოიედინება უჯრედის წვენი, აირევა ერთმანეთში და ერთნაირად დაფარავს ყოველი კომპონენტის დაქუცმაცებულ ნაწილაკებს. ამით მიიღწევა ყველა კომპონენტის სრული შერევა, მათგან გამოდენილი წვენის მასის ყველა ნაწილაკზე თანაბრად განაწილება და ყველა ნაწილაკის დაფარვა უჯრედის წვენით. ასეთ მდგომარეობაში ფიქსირებული მასა ხასიათდება კომპონენტების სასარგებლო თვისებების ერთიანობით. სხვადასხვა მცენარეული ნედლეულის ფოთლების ერთობლივი გადამუშავებისათვის საჭიროა მათი მიწოდება დამჭერებულ-დამჭერებულ საფიქსაციო მანქანაში. ამასთან, ერთობლივი გადამუშავებისათვის აუცილებელია არა ამ კომპონენტების თანამიმდევრობით მიწოდება, არამედ ყველა კომპონენტის ფოთლების ერთობლივი მიწოდება.

ამისათვის შეიძლება სხვადასხვა ტიპის შერევი მოწყობილობის გამოყენება, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური თვისებებით (ზომა, სიხისტე, სიმკვრივე, ხახუნის კოეფიციენტი, დენადობა და ა.შ.) მკვეთრად განსხვავდებული ფოთლების ერთმანეთთან შერევა ძალიან რთულია, მოითხოვს დიდ დროს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანახარჯებს. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხანგრძლივი შერევის პირობებში სხვადასხვა სიმტკიცის ფოთლები სხვადასხვაგარად დაზიანდება, რასაც თან სდევს წვენის გამოყოფა და ნაადრევი ფერმენტაცია. ეს კი აუარესებს საბოლოო პროდუქციის ხარისხს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დამუშავებული ახალი მეთოდი ითვალისწინებს ყველა მცენარეული ნედლეულის ცალ-ცალკე ჰყლება-დაქუცმაცებას და ფიქსაციას ყოველი კომპონენტის მიღებისათვის საჭირო შესაბამისი რეჟიმის

პარამეტრების დაცვით და შემდგომ ყველა კომპონენტის შერევას იმავე ტიპის დამჭერებულ-დამჭერებულ მანქანაში, რომელშიც წელის ორთქლის ნაცვლად მიეწოდება გამომშრალი ცხელი 80–90°C ტემპერატურის მქონე პაერი, რომელიც უზრუნველყოფს მასიდან ტენის მოცილებას და მის მომზადებას შრობისათვის.

ნარევში შემავალი ყველა კომპონენტის საჭირო დოზით ერთდროულად მიწოდებისათვის დამუშავებულია დამჭერებულ-დამჭერებულ საფიქსაციო მანქანაში კომპონენტების მიმწოდებელი მარტივი მოწყობილობა (იხ. ნახ.), რომელიც შედგება გამომტკირთი ნაწილით 1 დამჭერებულ-დამჭერებელი მანქანის 2 მკვებავი ბუნკერისაკენ ორიენტირებული და პორიზონტალურ სიბრტყეში სიმეტრიულად განლაგებული ორი ან მეტი 3, 4, 5 მკვებავი შენეკისაგან. კონსტრუქციული ზომებით ყველა შენეკური მკვებავი ერთმანეთის ტოლია. ამასთან, ყოველი მკვებავი აღჭურვილია ინდივიდუალური 6, 7 ამძრავებით, რომლებსაც აქვთ შეჯის ლილგის ბრუნთა რიცხვის მდოვრედ რეგულირების საშუალება. მკვებავების შენეკის ბრუნთა რიცხვების სათანადო რეგულირებით ნედლეულით დამჭერებულ-დამჭერებული საფიქსაციო მანქანის მუდმივად და თანაბრად მომარაგების (კვების) პირობებში მიიღწევა ყველი კომპონენტის საჭირო, წინასწარ დადგენილი თანაფარდობით მიწოდება 8 მილიუნის გავლით.

დამჭერებულ-დამჭერებულ მანქანაში კომპონენტების პროპორციული მიწოდება შემდეგნაირად მიიღწევა:

ვთქვათ, მწარმოებლობათა თანაფარდობა მოცემულია შემდეგი სახით:


$$Q_1 : Q_2 : \dots : Q_n = K_1 : K_2 : \dots : K_n \quad (1)$$

დამჭერებულ-დამჭერებული მანქანის მწარმოებლობა

$$Q = Q_1 + Q_2 + \dots + Q_n \quad (2)$$

განვსაზღვროთ თანაფარდობათა ჯამი

$$K_{\text{ჯამ}} = \sum_1^n K_i = K_1 + K_2 + \dots + K_n \quad (3)$$



დამჭულებულ-დამჭუცმაცებელ საფიქსაციო მანქანაში  
კომპონენტების მიმწოდებელი მოწყობილობა

მანქანის საერთო მწარმოებლობისა და თანაფარდობათა ჯამის საშუალებით განვაზღვრავთ პროპორციულობის კოეფიციენტს

$$P = \frac{Q}{K_{\text{კო}}^{\text{კო}}} = \frac{Q}{\sum_{i=1}^n K_i}. \quad (4)$$

მიღებული პროპორციულობის კოეფიციენტის მეშვეობით განისაზღვრება თითოეული მკვებავი შენების მწარმოებლობა

$$\begin{aligned} Q_1 &= P \times K_1, \\ Q_2 &= P \times K_2, \\ &\dots \\ Q_n &= P \times K_n. \end{aligned} \quad (5)$$

მკვებავების მიღებული მწარმოებლობების ჯამი დამჭულებულ-დამჭუცმაცებელი მანქანის საერთო მწარმოებლობის ტოლია

$$Q_1 + Q_2 + \dots + Q_n = P(K_1 + K_2 + \dots + K_n) = Q. \quad (6)$$

ცნობილია, რომ შენებური მკვებავის მწარმოებლობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q = FS\gamma\varphi, \quad (7)$$

სადაც  $F$  არის მკვებავის ცილინდრის განივგვეთის ფართობი,  $\text{m}^2$ ;

$S$  – შენების ბიჯი, მ;

$n$  – შენების ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ;

$\gamma$  – შენებით მიწოდებული ნედლეულის კუთრი წონა,  $\text{kg}/\text{m}^3$ ;

$\varphi$  – შენებური მკვებავის ცილინდრის შევსების კოეფიციენტი.

ცალკეული შენებური მკვებავების გეომეტრიული ზომები ( $F, S$ ) ერთმანეთის ტოლად მივიღოთ. მაშინ თითოეული მკვებავისათვის გვექნება:

$$\begin{aligned} Q_1 &= FS\gamma_1\varphi_1, \\ Q_2 &= FS\gamma_2\varphi_2, \\ &\dots \\ Q_n &= FS\gamma_n\varphi_n. \end{aligned} \quad (8)$$

შეგების ბრუნთა რიცხვები თითოეული მკვებავისათვის ტოლია

$$\begin{aligned} n_1 &= \frac{Q_1}{FS\gamma_1\varphi_1}, \\ n_2 &= \frac{Q_2}{FS\gamma_2\varphi_2}, \\ &\dots \\ n_n &= \frac{Q_n}{FS\gamma_n\varphi_n}. \end{aligned} \quad (9)$$

პროპორციულობის კოეფიციენტის გამოყენებით (5) ფორმულებიდან გვექნება:

$$\begin{aligned} n_1 &= \frac{PK_1}{FS\gamma_1\varphi_1}, \\ n_2 &= \frac{PK_2}{FS\gamma_2\varphi_2}, \\ &\dots \\ n_n &= \frac{PK_n}{FS\gamma_n\varphi_n}. \end{aligned} \quad (10)$$

პროპორციულობის კოეფიციენტის მნიშვნელობათა (4) ფორმულიდან ჩასმით მივიღებთ:

$$\begin{aligned} n_1 &= \frac{QK_1}{FS\gamma_1\varphi_1 \sum_{i=1}^n K_i}, \\ n_2 &= \frac{QK_2}{FS\gamma_2\varphi_2 \sum_{i=1}^n K_i}, \\ &\dots \\ n_n &= \frac{QK_n}{FS\gamma_n\varphi_n \sum_{i=1}^n K_i}. \end{aligned} \quad (11)$$

მიღებული ფორმულები შემდეგნაირად გადავწერთ:

$$\begin{aligned} n_1 &= \frac{K_1}{\sum_1^n K_i} \times \frac{Q}{FS} \times \frac{1}{\gamma_1 \varphi_1}, \\ n_2 &= \frac{K_2}{\sum_1^n K_i} \times \frac{Q}{FS} \times \frac{1}{\gamma_2 \varphi_2}, \\ &\dots \\ n_n &= \frac{K_n}{\sum_1^n K_i} \times \frac{Q}{FS} \times \frac{1}{\gamma_n \varphi_n}. \end{aligned} \quad (12)$$

მიღებული საბოლოო ფორმულები გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი შენებური მკვებავის შენების ბრუნთა რიცხვი დამოიდებულია ამ მკვებავით მისაწოდებელი ნედლეულის მასური წილის შეფარდებაზე მასათა საერთო თანაფარდობასთან, დამჭულებრ-დამქუცმაცებელი მანქანის საერთო მწარმოებლობის შეფარდებაზე ამ მკვებავის განვივეთის ფართობისა და ბიჯის ნამრავლზე და, აგრეთვე, მისაწოდებელი კომპონენტის კუთრ წონასა და ამ კომპონენტით მკვებავის ცილინდრის შევსების კოეფიციენტზე.

### 3. დასკვნა

დამჭულებრ-დამქუცმაცებელი მანქანის მწარმოებლობა ( $Q$ ) და შენებური მკვებავების კონსტრუქციული ზომები ( $F, S$ ) წინასწარ ცნობილია. ამიტომ არსებული დამჭულებრ-დამქუცმაცებელი საფიქსაციო მანქანის პირობებში მცენა-

რეული კომპონენტების ნებისმიერი ნარევის მოსამზადებლად შენებური მკვებავების შენების ბრუნთა რიცხვის დასადგენად საჭიროა მხოლოდ აღნიშნული კომპონენტების ნარევში თანაფარდობისა და თითოეული კომპონენტის ფიზიკურ-მექანიკური ( $\gamma$  კუთრი წონისა და  $\varphi$  ცილინდრის შევსების კოეფიციენტს) თვისებების დადგენა.

### ლიტერატურა

1. ო. რევიშვილი, ვ. დვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ო. ლვაჩლიანი. ჩაის ფოთლის დამტუშავებელი დანადგარი. საპატენტო სიგელი № GE P 4861 B. 12.10.2009 წ. კლასი A 23 F 3/12.
2. ო. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, ლ. გუგულაშვილი, გ. მეგრელიძე, გ. გუგულაშვილი. თბოგადამცემი დანადგარი. საპატენტო სიგელი № GE P 4902 B. 25.02.2010 წ. კლასი F 25 B 15/00.
3. ო. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ვ. სადაღაშვილი, ს. მღებრიშვილი. ნედლეულის გადამამუშავებელი მოწყობილობა. საპატენტო სიგელი № GE P 5314 B. 25.10.2011 წ. კლასი C 12 G 1/02.
4. ო. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადაღაშვილი, ბ. ლვაჩლიანი. ჩაის ფერმენტაციის ინტენსიფიკაცია ახალი აპარატის გამოყენებით // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები №3 (481) თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011 წ. გვ. 83-86.

UDC 613.292

MANY-COMPONENT NUTRITIVE-MEDICAL PRODUCTS RECEIVING IMPROVEMENT WAYS FROM  
VEGETABLE RAW MATERIALS

**T. Megrelidze, V. Gvachlian, G. Gugulashvili, E. Sadagashvili, B. Gvachlian**

Department of food industry, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the existent technology of produce the many-component nutritive-medical vegetable products. There is indicated, that for quality increase of final product, is better all components simultaneous remake in smasher-crusher and fixation machine. For this, there is given the new packer equipment of smasher-crusher and fixation machine and its productivity determination method.

**Key words:** components; raw materials; quality; fixation; smasher-crusher.

УДК 613.292

## К ВОПРОСУ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СПОСОБА ПОЛУЧЕНИЯ МНОГОКОМПОНЕНТНЫХ ЛЕЧЕБНО-ПИЩЕВЫХ РАСТИТЕЛЬНЫХ ПРОДУКТОВ

**Мегрелидзе Т.Я., Гвачлиани В.В., Гугулашвили Г.Л., Садагашвили Э.З., Гвачлиани Б.В.**

Департамент пищевой индустрии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>6</sup>

**Резюме:** Рассмотрена существующая технология производства многокомпонентных лечебно-пищевых растительных продуктов. Показано, что для повышения качества конечного продукта наиболее приемлема совместная переработка всех компонентов в машине для мятия-измельчения и фиксации. С этой целью предложено питающее устройство машины мятия-измельчения и фиксации и приведена методика определения ее производительности.

**Ключевые слова:** компоненты; сырье; качество; фиксация; мятие-измельчение.

მიღებულია დასაბუჭიდავ 13.03.14

უაგ 621.56

სამაცივრო კამერის პარტში ოზონის კონცენტრაციის და მოქმედების

ხანგრძლივობის გაზლენა ხილისა და ბრსფეულის ცივად შენახვის პროცესზე

თ. მეგრელიძე<sup>1\*</sup>, გ. მეგრელიძე<sup>1</sup>, რ. გახოკიძე<sup>2</sup>, გლ. თალაქვაძე<sup>3</sup>, გ. ბასილაძე<sup>3</sup>

<sup>1</sup>კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას 68<sup>6</sup>

<sup>2</sup>ქიმიის დეპარტამენტი, იგ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

<sup>3</sup>გ. უგანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, საქართველო, თბილისი, ლუბლიანას 21

E-mail: tmegrelidze@yahoo.com

**რეზიუმე:** განხილულია სამაცივრო კამერის პარტის ტენის კონცენტრაციისა და მოქმედების ხანგრძლივობის გაზლენის კვლევის შედეგები ზოგიერთი სახეობის ხილისა და ბოსტნეულის ცივად შენახვის პროცესზე. კარტოფილისა და სტაფილოს ცივად შენახვის რეჟიმის კვლევის შედეგების დამატებითი კრიტერიუმის გამოვლენის მიზნით შესწავლილია ზოგიერთი მიკრო- და მაკროელემნტის ცვლილება ტემპერატურასა და ტენიანობაზე დამოკიდებულებით. დადგენილია, რომ მცენარეული პროდუქტის ოზონით დამუშავებისას საჭიროა დიფერენცია-

ლური მიღებობა. ხილის ნაზი არომატის შენარჩუნებით შენახვის ხანგრძლივობა შეიძლება დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდოს.

**საკვანძო სიტყვები:** მაცივრის პარტი; ოზონის კონცენტრაცია; ცივად შენახვა; რეჟიმი; ელემენტები.

### 1. შესავალი

ხილისა და ბოსტნეულის შენახვას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე კვების მრეწველობისათვის. შენახვის

ამოცანაა პროდუქციის ხარისხის მაქსიმალურად შენარჩუნება რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთი ამოცანის გადაწყვეტას კი ართულებს პროდუქციის არაერთგვაროვნება. ერთმანეთისაგან თვისებებითა და შენახვის უნარით განსხვავებულია არა მარტო ხილისა და ბოსტნეულის სახეობები, არამედ ერთი და იმავე დასახელებისა და ჯიშის, მაგრამ სხვადასხვა ადგილზე მოვანილი პროდუქტები. ამიტომ, პროდუქტის ყოველი ახალი სახეობისათვის პრაქტიკულად აუცილებელი ხდება სპეციალური ცდების ჩატარება მისი შენახვის ოპტიმალური პარამეტრების დადგენის მიზნით. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს შენახვის ხერხებისა და პარამეტრების სიმრავლეს. ხილისა და ბოსტნეულის შენახვის ერთ-ერთი ახალი ხერხი არის მათი ცივად შენახვა სამაცივრო კამერის ჰაერში თხონის შერევის პირობებში.

## 2. პირითადი ნაწილი

გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევრების მონაცემებით, თხონის გამოყენებით ხილისა და ბოსტნეულის ცივად შენახვისას მცირდება ლპობისა და სუნთქვის ინტენსივობით გამოწვეული დანაკარგები. დამწიფების პროცესში აგრეთვე იცვლება ეთილენისა და სხვა აქროლადი ნივთიერებების შემცველობა, თანაც, სხვადასხვა ჯიშის ხილისა და ბოსტნეულის მგრძნობიარობა განსხვავებულია. მაგალითად, ჰაერისა და თხონის ნარევში (თხონის კონცენტრაცია ჰაერში შეადგენს 2...3 მგ/მ<sup>3</sup>) “გოლდენის” ჯიშის ვაშლი კარგად ინახება, ხოლო ჰაერში თხონის კონცენტრაციის მომატების შემთხვევაში (10...12 მგ/მ<sup>3</sup>-მდე) ვაშლის არომატი უარესდება. მართალია, ზოგიერთი მონაცემი საწინააღმდეგოს აღნიშნავს, მაგრამ ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ხილისა და ბოსტნეულის ცივად შენახვისას თხონის გამოყენება დადგითად მოქმედებს შენახვის ხარისხზე [3, 4, 5].

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ თხონი ხელს უშლის ვაშლის გაფუჭებას. ხენდროს, მარწყვის, ყურძნის შენახვის ხანგრძლივობა თხონის გამოყენებით (ჰაერში თხონის კონცენტრაცია 4...6 მგ/მ<sup>3</sup>) ორმაგდება (თხონირების ხანგრძლივობა 3 სთ-ია დღე-დამეში). ასეთი რეზიმის პირობებში ხენდროს შენახვისას აღინიშნება არომატის გაუმჯობესება. ბანანის შენახვისას თხონის ოპტიმალური კონცენტრაციაა 3 მგ/მ<sup>3</sup>. მეტი კონ-

ცენტრაცია იწვევს ნაყოფის კანზე შავი დაჭქბის წარმოქმნას. გვანეს მიხედვით ოზონის მოქმედება უფრო მდგრადია ფორთოხლის (კონცენტრაცია 40 მგ/მ<sup>3</sup>) და ხახვისათვის (კონცენტრაცია 300 მგ/მ<sup>3</sup>). აღნიშნული კონცენტრაციების პირობებში ოზონის მოქმედებისას არ ირღვევა ნივთიერებათა ცვლა. კარტოფილი კარგად ინახება, როდესაც ჰაერში ოზონის კონცენტრაციაა 0,002...2 მგ/მ<sup>3</sup> [4, 5]. სამაცივრო საკანზი თხონის გამოყენებით კარტოფილის ცივად შენახვისას ოზონის გამოყენება მიზანშეწონილია მიკროორგანიზმების განვითარების საწყის ჰერიოდში (სამაცივრო კამერაში ჰერიოს ფარდობითი ტენიანობაა 85...90%, ჰაერში ოზონის კონცენტრაცია  $C = 12 \dots 15$  მგ/მ<sup>3</sup>, ჰერიოს ტემპერატურა – 276...277K). როგორც ჰერიოდულად (3 და 6 სთ დღე-დამეში), ისე განუწყვეტლივ (48სთ) მცირდება სოკოს განვითარების პირობები [5].

თხონის გამოყენებით კარტოფილის შენახვის რეჟიმის კვლევის შედეგების დამატებითი კრიტერიუმის გამოვლენის მიზნით შევისწავლეთ მასში ზოგიერთი მიკრო- და მაკროელემენტის ცვლილება 276–277 K ტემპერატურისა და 85–90 % ტენიანობის პირობებში. კვლევის ობიექტად გამოვიყენეთ სხვადასხვა ჯიშის კარტოფილი, მოვათავსეთ საწარმოო ტიპის საცდელ სამაცივრო კამერაში (შენახვის ხანგრძლივობა 6 თვე). კვლევამ გვაჩვენა, რომ კარტოფილის შენახვისას საკონტროლო რეჟიმთან შედარებით არ მომატებულა კალიუმის, მაგნიუმის, კალციუმის, თუთიისა და კობალტის რაოდენობა.

მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო კარტოფილის შენახვისას თხონის გამოყენების შესაძლებლობას (კონცენტრაცია 12...16 მგ/მ<sup>3</sup> 5 საათი დღე-დამეში, კამერის ტემპერატურა 276...277 K, ფარდობითი ტენიანობა 90...95 %). 8 დღე შენახვის განმავლობაში კარტოფილში მიმდინარე საეციფიკური პროცესი დიდ გავლენას ახდენს კარტოფილის ხარისხზე, შეინიშნება გარდაქმნები ნახშირწყლების კომპლექსში. კარტოფილის შენახვისას ხარისხის მაჩვენებლები მცირდება განსხვავდება საკონტროლო ნიმუშის ხარისხის მაჩვენებლებისაგან. თხონირებულ კარტოფილში სახამებლის შემცველობა, შენახვის ბოლოს, საკონტროლო ნიმუშის სახამებლის შემცველობას აღემატება 4...5 %-ით, ხოლო შაქრის შედგენილობა 1,2...1,5-ჯერ ნაკლებია. თხო-

ნის ზემოქმედებით შეიმჩნევა ასკორბინის მეავას შემცველობის გაზრდა საშუალოდ 1,25-ჯერ. ოზონირებული კარტოფილის სუნთქვის ინტენსივობა შენახვის პროცესში უმნიშვნელოდაა განსხვავებული საკონტროლოსაგან [4, 5].

განსხვავებულია კარტოფილის შენახვის პროცესში ოზონის მოქმედებით გამოწვეული ბიოქიმიური ცვლილებები. კერძოდ, ოზონირება არ იწვევს სერიოზულ ფიზიოლოგიურ გაუარესებას. კარტოფილის ზედაპირული შრე არ შეიცავს ადვილად დამჟანგველ ნივთიერებებს, ხოლო ოზონს, როგორც ცნობილია, უპირატესად ზედაპირული მოქმედება აქვს. ამავე დროს, ოზონი ანადგურებს პათოგენურ ზედაპირულ მიკროფლორას. ოზონით დამჟანგვებული მიკრობებით დაბინძურებული ბოლქვების შენახვის ბოლოს, საკონტროლოსთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალია ხარისხი. ოზონირება უფრო მეტად უწყობს ხელს კარტოფილის დაზიანებული ნაწილების შეხორცებას, ვიდრე მათი წინააღმდეგობის გაზრდას ახალი ინფექციების მიმართ. კარტოფილის ლპობის პროცენტი ოზონირებულ პარტიაში მნიშვნელოვნად დაბალია (1,6...2,5-ჯერ) [5].

სტაფილოს ცივად შენახვისას გამოკვლეული იყო ოზონით დამჟანგების გავლენა პეროქსიდაზას და კატალაზას აქტიურობაზე. ოზონის კონცენტრაცია შეადგენდა 10...15, 50...60 და 110...120 მგ/მ<sup>3</sup>. ოზონირების ხანგრძლივობა არის 6 სთ 273...274 K შენახვის ტემპერატურაზე. შენახვის პერიოდია ოქტომბერი – მაისი. ავტომებს გამოქვთ დასკნა, რომ სტაფილოს ოზონით დამჟანგება ცვლის პეროქსიდაზასა და კატალაზას აქტიურობას, ამავე დროს, სტაფილოს შენახვის საწყის პერიოდში ოზონირება უფრო მეტადაა აუცილებელი (არანაკლებ 8...10 დღე), ვიდრე შენახვის ბოლო პერიოდში. ხანგრძლივი შენახვისას პერიოდული ოზონირება არაუმტებს 10...15 მგ/მ<sup>3</sup> კონცენტრაციით უფრო სასარგებლო. ვაშლის შენახვისას ოზონის გამოყენების დანიშნულებაა მისი კანის ზედაპირის დამჟანგება მიკროორგანიზმების მოცილების მიზნით. გამოვლენილია, რომ ოზონი არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ცილის ქიმიურ შედგენილობაში, თუმცა მას შეუძლია ძირითადი დამცველი ფუნქციის გაძლიერების ინიცირება ტენის დაკარგვის სიჩქარის შემცირებისას. ოზონის დიდი დოზით დამჟანგება იწვევს დამცველი ფენის ნაწილის დაზიანებას,

რაც განაპირობებს ტენის დანაკარგების სიჩქარის ზრდას. ვაშლის პერიოდულ დამჟანგებას ოზონის დაბალი კონცენტრაციით (0,7...3,0 მგ/მ<sup>3</sup>, დამჟანგების ხანგრძლივობა 40...120 წთ ყოველდღიურად) შენახვის პროცესში შეუძლია ცილოვანი შრის ფორმირება. გამოვლინდა აგრეთვე, რომ ოზონი განსხვავებულად მოქმედებს სხვადასხვა ხარისხის ვაშლზე: ვაშლის დამწიფება ჩქარდება ეთილენის და სხვა აქროლადი ნივთიერებების არსებობისას, რომლებიც იწვევენ მისი კანის შეტურვას. ეთილენი გამოიყოფა და სწრაფად იქანება ოზონით. როდესაც ოზონს უკვე აღარ შეუძლია მეტად შებუროს ნაყოფის კანი, იგი ახდენს აქროლადი ნივთიერებების ნეიტრალიზაციას. ეს პროცესი დამახასიათებელია ექნეროვანი და სხვა აულტურებისათვის, მათ შორის ბანანის, ფორთოხლის, უოლოს, მარწყვის და სხვ. შენახვის ხანგრძლივობა ხილის ნაზი არმატის შენარჩუნებით შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 2-ჯერ.

### 3. დასტანა

ამრიგად, სიცივესთან ერთად ოზონის კომბინირებული გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს შენახვის პროცესში ხილისა და ბოსტებულის დანაკარგებს. ამასთან, მცენარეული პროდუქტების ოზონით დამჟანგების რეჟიმში აუცილებელია დიფერენცირებული მიღგომა.

### ლიტერატურა

- თ. მეგრელიძე, ნ. მაღლაკელიძე, გ. გუგულაშვილი. საცივარი კამერის ოზონირების პროცესის ოპტიმალური პარამეტრების დასაბუთება // სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “ხელოვნური სიცივე და გარემო“. თბილისი, 2013, № 1, გვ. 19–25.
- თ. მეგრელიძე, გ. გუგულაშვილი, ე. სადადაშვილი, ვ. ლგაჩლიანი, ნ. მაღლაკელიძე. ოზონის გამოყენება კვების პროდუქტების გაუცენებლობისათვის // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გამოყენებითი ქიმიის პრობლემები“ შრომების კრებული. თბილისი, 2012, 254–258 გვ.
- თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. გოლეთიანი, ვ. ლგაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, გ. ბერუაშვილი, თ. ჭუჭულაშვილი, ე. სადადაშვილი. კვების პროდუქტების წარმოების და სიცივის

- მიღების პროცესი და აპარატები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012.-275 გვ.
5. Е.А. Ильина, В.В. Коваль, Р.А. Козлова и др. Озонирование камер при хранении пищевых продуктов // Холодильная техника, 1979, № 8, с. 18-25.
4. Бабакин Б.С. Электротехнология в холодильной промышленности. М.: ВО Агропромиздат, 1990. с. 136.

UDC 621.56

## INFLUENCE OF OZONE CONCENTRATION IN THE AIR OF REFRIGERATION CAMERA AND ACTION CONTINUANCE ON FRUITS AND VEGETABLE COOL KEEPING PROCESS

**T. Megrelidze, G. Megrelidze, R. Gakhokidze, V. Talakvadze, G. Basiladze**

<sup>1</sup>Department of food industry, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

<sup>2</sup>Department of chemistry, Iv. Javakhishvili, Tbilisi State University, 3 I. Chavchavadze avenue, Tbilisi, 0128, Georgia

<sup>3</sup>G. Zhvania pediatric academic clinic, 21 Lubliana str, Tbilisi, Georgia

**Resume:** There is considered the influence of products cool keeping process from the air of refrigeration camera ozone concentration and action continuance. For potato and carrot cool keeping regimes additional criterion exposure there were studied some micro and macro elements depending on temperature and humidity. There is established, that with vegetable products ozone elaboration is possible to increase their keeping continuance about 2 times.

**Key words:** refrigerator air; ozone concentration; cool keeping; regimes; elements.

УДК 621.56

## ВЛИЯНИЕ КОНЦЕНТРАЦИИ ОЗОНА В ВОЗДУХЕ ХОЛОДИЛЬНОЙ КАМЕРЫ И ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТИ ЕГО ВОЗДЕЙСТВИЯ НА ПРОЦЕСС ХОЛОДИЛЬНОГО ХРАНЕНИЯ ФРУКТОВ И ОВОЩЕЙ

**Мегрелидзе Т.Я., Мегрелидзе Г.Т., Гахокидзе Р.А., Талаквадзе В.В., Басиладзе Г.Л.**

<sup>1</sup>Департамент пищевой индустрии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>b</sup>

<sup>2</sup>Департамент химии, Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили, Грузия, Тбилиси, 0128, пр. И. Чавчavadze 3

<sup>3</sup>Академическая клиника педиатрии им. Г. Жвания, Грузия, Тбилиси, ул. Любляны 21

**Резюме:** Рассмотрены результаты исследования влияния концентрации озона в воздухе холодильной камеры и продолжительности его воздействия на процесс холодильного хранения некоторых видов фруктов и овощей. С целью выявления дополнительных критериев режимов холодильного хранения картошки и моркови, были изучены изменения некоторых микро- и макроэлементов в зависимости от температуры и влажности холодильной камеры. Установлено, что в режиме обработки озоном растительных продуктов необходим дифференциальный подход. Продолжительность хранения фруктов с максимальным сохранением их мягкого аромата возможно увеличить приблизительно в два раза.

**Ключевые слова:** холодильный воздух; концентрация воздуха; холодильное хранение; режимы; элементы.

მიღებულია დასაბუქდა 13.03.14

**უაკ 665.5.006**

**მუხლის კასრში საპონიაპი სპირტის დაძველების მქსტრაჟციული პროცესის  
პინეტიპა**

**ზ. ჯაფარიძე\*, მ. ხოშტარია**

კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, გ. კოსტავას 68<sup>ა</sup>

E-mail: z.jafaridze @ gtu.ge

**რეზიუმე:** განხილულია მუხლის კასრში საკონიაკე სპირტის დაძველების დიფუზიური პროცესის ფიზიკური მოდელი. გამოყვანილია ექსტრაქციული პროცესის კინეტიკის ექსპონენციალური განტოლება.

**საკვანძო სიტყვები:** მუხლა; კასრი; სპირტი; კონიაკი; ექსტრაქცია; დიფუზია; თხევადი ფაზა; მყარი ფაზა; გამყოფი ზედაპირი; წონასწორული კონცენტრაცია.

## 1. შესავალი

მუხლის კასრში სპირტის დაძველება ექსტრაქციული პროცესია. ამ დროს სპირტი აღწევს მუხლის შემში და გამოაქვს სსნადი მიზნობრივი ნივთიერებები, რომლებიც პროდუქტს ანიჭებენ მისთვის დამახასიათებელ გემოს, არომატს, ფერს და სხვა ორგანოლეგატიკურ თვისებებს.

ორგაზიანი (მყარი სეეული – სითხე) ექსტრაპირების პროცესში მონაწილეობს: მიზნობრივი პროდუქტის მატარებელი მყარი ფაზა; მიზნობრივი პროდუქტის გამხსნელი თხევადი ფაზა და თვით მიზნობრივი ნივთიერება, რომელიც გადადის ერთი ფაზიდან მეორეში. ნივთიერების მოძრაობა ფაზებს შორის დამოკიდებულია მის შემცველებაზე ორივე ფაზაში, კონცენტრაციული წონასწორობის პირობის დაცვით.

მასაცვლის პროცესის თეორიის მიხედვით ნივთიერების გადატანა შესაძლებელია ორი გზით – მოლექულური და კონვექციური დიფუზიური. ორივე შემთხვევაში პროცესის მამოძრავებელი ძალა არის ფაზებს შორის კონცენტრაციათა სხვაობა.

## 2. ძირითადი ნაწილი


არსებული თეორიული მოდელებიდან ცნობილია, რომ ექსტრაპირების პროცესის ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრებია დიფუზიურია და მასათა გადაცემის კოეფიციენტები. პირველი ახასიათებს ნივთიერების გადატანის სიჩქარეს

მყარი სეეულის შიგნით, ხოლო მეორე – მყარი სეეულის ზედაპირიდან საექსტრაქციო სითხეში.

მყარი ფაზის ზონაში (შეღწევადობის შემ) დიფუზიური ნაწილაკები გამყოფი ზედაპირისკენ მოძრაობები სტრესტიკურად. მათი გადასვლა ექსტრაგენტში მოხდება გარანტირებულად, როდესაც ისინი აღმოჩნდებინა გამყოფ ზედაპირზე.

გამომშრალი ნედლეულიდან (მოცემულ შემთხვევაში მუხლა) ექსტრაქციის პროცესში აღინიშნება შემდეგი სტადიები: ექსტრაგენტის შეღწევა კასრის კედელში (შეღწევადობის შემ), რომელიც მიმდინარეობს კაპილარული ძალების მოქმედებით; უკრედში არსებული მიზნობრივი ნივთიერების დასველება და გახსნა; ნივთიერების გამორეცხვა გახსნილი ფორებიდან; ნივთიერების მასაგადატანა მოლექულური დიფუზიურით სასაზღვრო ზედაპირიდან სსნარში.

ექსტრაქციის პროცესი ხასიათდება ექსპონენციალური კანონზომიერებით, რაც გულისხმობს მყარ და თხევად ფაზებს შორის კონცენტრაციის წონასწორობის დამყარებას დროის მიხედვით, რომლის შემდეგ მიზნობრივი ნივთიერების გადასვლა მყარი ფაზიდან თხევადში წყდება და პროცესი პრაქტიკულად მთავრდება.



ნახ. 1. მუხლის კასრში მიმდინარე ექსტრაქციის პროცესის ფიზიკური მოდელი

მუხის კასრში მიმდინარე ექსტრაქციის პროცესის კინეტიკა შესაძლებელია წარმოვადგინოთ ექსპონენციალური განტოლებით:

$$C = \frac{C_{\text{ა.მ.}}^0 V_{\text{ა.მ.}} - C_{\text{თ.მ.}}^0 V_{\text{თ.მ.}}}{V_{\text{ა.მ.}} + V_{\text{თ.მ.}}} (1 - e^{-k\tau}) \quad \text{კგ/მ}^3, \quad (1)$$

სადაც  $C$  არის თხევად ფაზაში (სპირტში) მიმდინარე კონცენტრაცია, კგ/მ<sup>3</sup>;

$C_{\text{ა.მ.}}^0$  – მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების საწყისი კონცენტრაცია, კგ/მ<sup>3</sup>;

$V_{\text{ა.მ.}}$  – შეღწევადობის შრის მოცულობა, მ<sup>3</sup>;

$C_{\text{თ.მ.}}^0$  – თხევად ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების საწყისი კონცენტრაცია, კგ/მ<sup>3</sup>;

$V_{\text{თ.მ.}}$  – კასრში მოთავსებული თხევადი ფაზის (სპირტის) მოცულობა, მ<sup>3</sup>;

$k$  – ექსტრაქციის პროცესის კონსტანტა;

$\tau$  – მიმდინარე დრო.

(1) განტოლებაში ( $C_{\text{ა.მ.}}^0 - C_{\text{თ.მ.}}^0$ ) პროცესის მამოძრავებელი ძალაა. ვინაიდან საწყის მომენტში თხევად ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების კონცენტრაცია ნულის ტოლია, ე. ი.  
 $C_{\text{თ.მ.}}^0 = 0$ , ამიტომ (1) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$C = \frac{C_{\text{ა.მ.}}^0 V_{\text{ა.მ.}}}{V_{\text{ა.მ.}} + V_{\text{თ.მ.}}} (1 - e^{-k\tau}) \quad \text{კგ/მ}^3. \quad (2)$$

კასრში მიმდინარე პროცესის ადეკვატური აღწერისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება  $k$  კონსტანტას სწორად შეფასებას, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენი შეფასებით და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე,  $k$ -ს მნიშვნელობა შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი ემპირიული ფორმულით:

$$k = \frac{C_{\text{ა.მ.}} \cdot \exp[-(C_{\text{ა.მ.}} - C_{\text{მ.მ.}}) / C_{\text{ა.მ.}}^{1,1}] p k_V k_k k_\ell \psi}{\mu_{\text{მ.მ.}}} \quad \text{1/წ, (3)}$$

სადაც  $C_{\text{ა.მ.}}$  არის მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების საწყისი მასური კონცენტრაცია, კგ/მ<sup>3</sup>;

$C_{\text{მ.მ.}}$  – მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების საწყისი, მინიმალური, მასური კონცენტრაცია, კგ/მ<sup>3</sup>;

$p$  – კასრის კაპილარებში მიმდინარე ჟანგითი პროცესის შედეგად გამოწვეული სპირტისა და წყლის აირების ნარევის წნევა, კბა;

$k_V = V_{\text{ა.მ.}} / V_{\text{თ.მ.}}$  – შეღწევადობის შრის მოცულობის ფარდობა თხევადი ფაზის მოცულობასთან, მ<sup>3</sup>/მ<sup>3</sup>;


$k_v = v_{\text{გ.მ.}} / v_{\text{მ.მ.}}$  – მყარ ფაზაში ხსნადი ნივთიერების მოძრაობის სიჩქარეთა ფარდობა ბოჭკოვის განვითარებად და გრძივად;

$k_\ell$  – მუხის მასალაში ნივთიერების გამტარი კაპილარების განვითარების განვითარებაში, მ/მ;

$\psi$  – მუხის მასალის ფორიანობის კოეფიციენტი;

$\mu_{\text{მ.მ.}}$  – კაპილარებში გასხვილი მიზნობრივი ნივთიერების დინამიკური სიძლანტე, კბა.წ.

(3) განტოლებიდან მიღებული  $k$ -ს მნიშვნელობისათვის (2) ფორმულიდან კსაზღვრავთ მყარიდან თხევად ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების, მაგალითად, ტანინის გადასვლის კინეტიკას, რომელიც გამოისახება ექსპონენციალური გრაფიკის სახით (ნახ. 2).



ნახ. 2. მუხის კასრში ტანინის გენერაციის კინეტიკური გრაფიკი

გრაფიკის ასაგებად მიღებული გვაქვს შემდეგი საწყისი მონაცემები:

ტანიდების მინიმალური შემცველობა 12-15% ტენიანობის მუხის მასალაში, ლიტერატურის მონაცემებით [1]  $C_{\text{მ.მ.}} \approx 2\%$  მთლიან მასასთან მიმართებით;  $C_{\text{ა.მ.}} = C_{\text{მ.მ.}} = 0,02 \text{ კგ/მ}^3$ ;  $V_{\text{თ.მ.}} = 0,4 \text{ მ}^3$ ;

$p \approx 0,15 \text{ კბა}$  [3]; კასრის კედელში თხევადი ფაზის შეღწევადობის შრის საშუალო სისქე  $\delta = 3,0\text{მ}$ , შესაბამისად შეღწევადობის შრის მოცულობა 40 დალ ტევადობის კასრისთვის –  $V_{\text{ა.მ.}} = 0,00831 \text{ მ}^3$ ;  $k_v = 0,006$  [2];  $k_\ell = 0,01$  [2,4];  $\psi = 0,5$  [2,4];  $\mu_{\text{მ.მ.}} = 0,05 \text{ კბა.წ}$ ; საკასრე მუხის მასალის მოცულობითი მასა  $\gamma \approx 700 \text{ კგ/მ}^3$  [2,4].

ამ მონაცემებისათვის მიზნობრივი ნივთიერების წონასწორული კონცენტრაცია (2) განტო-

ლების მიხედვით შეადგენს  $0,28 \text{ кг}/\text{м}^3$ . ამავე გან-  
ტოლებით გამოითვლება მიმდინარე კონცენტ-  
რაცია. (3) განტოლებიდან კონსტანტას მნიშვნე-  
ლობა  $k = 36 \cdot 10^{-9} \text{ л}/\text{м}^2$ .

### 3. დასკვნა

როგორც გრაფიკიდან ჩანს, თეორიული  
კვლევებით მიღებული მიზნობრივი ნივთიერების  
კონცენტრაციული წონასწორობა ( $0,28 \text{ кг}/\text{м}^3$ ) მყარ-  
და თხევად ფაზებს შორის მყარდება დაახლოე-  
ბით 80 დეკადის შემდეგ. მიღებული შედეგები  
მაღალი სიზუსტით შესაბამისობაშია ექსპერი-  
მენტული კვლევების მონაცემებთან [3]. სპირტის  
დაძველების ხანგრძლივობის შემდგომი გაზრ-

დით ტანიდების ექსტრაქცია გრძელდება, მაგრამ  
გაცილებით ნაკლები ინტენსივობით.

### ლიტერატურა

1. Оноприйко А.В., Оноприйко В.А. Коньячный спирт: получение, выдержка и использование в производстве бренды. Ставрополь: СевКавГТУ, 2002.-31с.
2. Рыжова Н.В., Шутов В.В. Физика древесины. Кострома: изд-во КГТУ. 2009.-75 с.
3. Скурихин И.М. Химия коньяка и бренды. - М: Дели принт, 2005. - 296 с.
4. Уголев Б.Н. Древесиноведение с основами лесного товароведения. М.: Лесная промышленность, 1986.- 365 с.

**UDC 665.5.006**

## THE KINETICS OF THE EXTRACTION PROCESS WITH THE COGNAC ALCOHOL EXPOSURES IN OAK BARRELS

**Z. Japaridze, M. Khoshtaria**

Department of food industry, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is discussed the physical model of the diffusion process with cognac alcohol exposure in oak barrels. There is obtained exponential equation of extraction process.

**Key words:** oak; barrel; cognac; extraction; diffusion; liquid phase; solid phase; separation surface; equilibrium concentration.

**УДК 665.5.006**

## КИНЕТИКА ЭКСТРАКЦИОННОГО ПРОЦЕССА ПРИ ВЫДЕРЖКЕ КОНЬЯЧНОГО СПИРТА В ДУБОВЫХ БОЧКАХ

**Джапаридзе З.Ш., Хоштария М.Г.**

Департамент пищевой индустрии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>б</sup>

**Резюме:** Рассмотрена физическая модель диффузионного процесса при выдержке коньячного спирта в дубовых бочках. Получено экспоненциальное уравнение экстракционного процесса.

**Ключевые слова:** дуб; бочка; коньяк; экстракция; диффузия; жидккая фаза; твердая фаза; разделительная поверхность; равновесная концентрация.

**გთღებულია დასაბუქდად 13.03.14**

# არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის სექცია

შაპ 72

თბილისის არქიტექტურა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

თ. ქუთათელაძე\*, გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი\*\*

დიზაინისა და არქიტექტურათმცოდნების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>ბ</sup>

E-mail: tkutateladze@yahoo.com, giabag@hotmail.com

**რეზიუმე:** მოცემულია თბილისის არქიტექტურის თავისებურებები XIX-XX საუკუნეებში. XIX საუკუნის თბილისური საცხოვრებელი სახლი სხვადასხვა ტრადიციის შერწყმის შედეგია. ცხადია, ეს არ ის განსხვავებულ ფორმათა მექანიკური ჯამი: რუსეთიდან შემოსულ, სავსებით ჩამოყალიბებულ კანონიზებულ ფორმებს ასეთივე კანონიზებული ადგილობრივი ფორმები კი არ მომატებია, არამედ მათ აქ დახვდა ადგილობრივი პირობები, ცოცხალი ადგილობრივი ტრადიციები, რომელთა ევოლუციამ ახალ შემოსულ ფორმებთან შეხამბის პროცესში თვისებრივად ახალი რამ მოგვცა. ამიტომაა, რომ XIX საუკუნის თბილისური საცხოვრებელი სახლი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქთა იმდროინდელი საცხოვრებელი სახლები, შეგვიძლია მივწინოთ ქართული ხუროთმოძღვრების გარკვეულ საფეხურად.

**საკვანძო სიტყვები:** საცხოვრებელი; ქალაქების განვითარება; კლასიციზმი; მონუმენტურობა; მოდერნი.

## 1. შესავალი

XIX საუკუნის დამდეგს რუსული კლასიციზმის გავლენით თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკამ პროგრესული ნიშან-თვისებები შეიძინა. დაიწყო ქალაქის განაშენიანება ქალაქთმშენებლობის წესების შესაბამისად: გაჩნდა საზოგადოებრივ ნაგებობათა ახალი ტიპები (სასწავლო დაწესებულებები, ადმინისტრაციული შე-

ნობები, თეატრები და ა.შ.), საცხოვრებელი შენობების არქიტექტურაში იწერება რუსული კლასიციზმის ელემენტები, რომლებიც ხალხური ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან შერწყმით სახლებს თავისებულ იქრს ანიჭებს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისი მეფის რუსეთის კოლონიური განაპირა მხარის ტიპური ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრია. აქ კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციაა. საქართველო კაპიტალისტური განვითარების საერთო კალაპოტში ექცევა.

## 2. ძირითადი ნაწილი

ძელი თბილისი, ფეოდალიზმის ეპოქის ქალაქი, რომელიც ასახავდა პატრიარქალურ კარჩაკუტილობას და იყო საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მთავარი ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრი, კაპიტალისტური ქალაქის თვისებებს იძნდა. თბილისი სწრაფად იცვლიდა სახეს: აქ იქმნებოდა მთავარი მოედანი და მაგისტრალი. თანდათან ისახებოდა მთავარი – გუნიბის მოედნის (ამჟამად აქ საქართველოს ყოფილი პარლამენტის კორპუსებია) კონტურები. XIX საუკუნეში ამ მოედნის ირგვლივ და ქალაქის მთავარ მაგისტრალზე – გოლოვინის ქუჩაზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი) იგება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობები რუსული კლასიციზმის სულისკვეთებით: სასულიერო სემინარია (ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), კავკასიის არმიის ჯარების შტაბი, კავკასიის მეფისნაცვლის სასახლე, მოგვიანებით რენესანსის სტილში რეკონსტრუირებული (ამჟამად მოსწავლე ახალ-

გაზრდობის ეროვნული სასახლე), პაუპტვახტი, გიმნაზია და სხვა.

ფასადის საერთო სახისოვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პილასტრებს, რომელთა თანაბარზომიერი რიტმი ანაწევრებს მეორე სართულს. დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ აქ კვლავ ვხედავთ აკადემიური კანონების დაცვით აგებულ ორდერს.

XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლი სხვადასხვა ტრადიციის შერწყმის შედეგია. ცხადია, ეს არ ის განსხვავებულ ფორმათა მექანიკური ჯამი: რუსეთიდან შემოსულ, საქართველო ჩამოყალიბებულ, კანონიზებულ ფორმებს ასეთივე კანონიზებული ადგილობრივი ფორმები კი არ მიმატებია, არამედ მათ აქ დახვდა ადგილობრივი პირობები, ცოცხალი ტრადიციები, რომელთა ევოლუციამ ახალ შემოსულ ფორმებთან შეხამების პროცესში თვისობრივად ახალი რამ მოგვცა. ამიტომაა, რომ XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლი ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქთა იმდროინდებული საცხოვრებელი სახლები, ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული ხუროთმოძღვრების გარკვეულ საფეხურად.

როგორც ცნობილია, ქართული ქალაქური საცხოვრებელი სახლის სახე XIX საუკუნეში მარტო თბილისური სახლებით არ შემოიფარგლებოდა. ქალაქური საცხოვრებელი სახლების საინტერესო ნიმუშები შეიქმნა ქუთაისში, თელავში, სიღნაღმი, გორსა და ღუშეთში. იქაურ სახლებს პრინციპულად იგივე საფუძველი აქვს, რაც თბილისურს: აქაც ხდება კლასიციზმის ფორმათა გარდაქმა, მათი შეგუება ქართულ ტრადიციასთან; აქაც, მრავალ შემთხვევაში, სრულიად ითელება კლასიციზმის თეორია.

თბილისში ყალიბდება საცხოვრებლის ტიპი, რომელშიც „აპრობირებული“ ფასადის უკან ჩართულია ადგილობრივი ელემენტები – ჩაშენებული კარადები, ნიშები, ლია ვერანდა ეზოს მხრიდან და სხვა. იმ სახლების პროექტებში, რომლებიც გათვალისწინებული იყო ქველი უბისათვის, პირველ სართულებზე ეწყობოდა სავაჭრო ორგანიზაციები. ადგილობრივი ტრადიციები კარნასობრივ გადაწყვეტას.

მაგალითად, XIX ს-ის პირველ ნახევარში, ძირითადად სახლებში გამოყენებული იყო ტრადიციული ბანიანი გადახურვა. ადგილობრივი ტრადიციული ფორმები საცხოვრებელში ვლინდება არა მხოლოდ ეზოს მხრიდან, არამედ მთავარ ფასადშიც.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს მოქცევამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ ბედზე. საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში აშენდა სახელმწიფო ბრივი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, იმ დროს იმპერიაში გავრცელებული გ.წ. გვიანდელი რუსული კლასიციზმის სტილით, მაგალითად, მთავარმართებლის სასახლე ი. ზუბალაშვილის სახლი (დღევანდებული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა), სიონის სამრეკლო, თბილისის, თელავის, სიღნაღმის, გორის, ახალციხის თრ- სამსართულიანი შენობების არქიტექტურაში ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებთან (ფართო აივნები, მოსარატებული მოაჯირები, თაღური გადახურვა, აზიდული პროპორციები) ორგანულად იყო შერწყმული კლასიცისტური ფორმები და ელემენტები.

XIX საუკუნის II ნახევარში, კაპიტალიზმის ინტენსიური განვითარების პირობებში, რუსეთისა და ევროპის მიბაძვით საქართველოს ქალაქების არქიტექტურაში ეკლექტიზმი გაძარღვდა, რომლის ნიმუშებია ყოფილი ქარვასლისა და თეატრის შენობები. ახლანდებ თავისუფლების მოედანზე, ქალაქის სათათბიროს (დღევანდებული საკურებულოს) შენობა, სახაზინო თეატრი (დღევანდებული ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი), დიდების ტაძარი (დღევანდებული საქართველოს მხატვართა გალერეა), არტისტული საზოგადოების შენობა (დღევანდებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი), სახელმწიფო „მაჟესტიკა“ (დღევანდებული სახელმწიფო „თბილისი მერიოტი“), ქაშუეთის ეკლესია, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი (დღევანდებული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა). ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელია მონუმენტული, სისადავე, სილადე, ორნამენტის ზომიერი, გემოვნებით გამოყენება, ფუნქციური თუ ცრუ თაღების სიუხვე, სიმაღლისკენ დატოლვა, გაწონასწორებული პროპორციები თავისუფალი ფართობისადმი (სადა კედლისადმი) ტრფიალი, შიგა და გარე ფორმებს შორის სრული შესატევისობა, განვითარების მთელ მანძილზე (მცხეთის ჯვრიდან და ხერთვისიდან გრემსა და ანანურამდე) გარემომცველ ბუნებასთან ძეგლის საოცარი შერწყმა, ნაგებობათა ხალისიანი, მაჟორული იერი, მოსაპირკეოებელი მასალის დი-

დი გემოვნებით შერჩევა, მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალების აქცენტირება, საკულტო ძეგლებისათვის საპარადო, საზეიმო, თუ შეიძლება ითქვას, საერო იერის მიცემა.

XIX საუკუნის არქიტექტურამ შეცვალა არა მხოლოდ ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურა, არამედ თვით საცხოვრებელი სახლის სახე. ადმინისტრაცია თბილისში ნერგავდა რუსეთში უკვე გავრცელებულ ბოლო პერიოდის რუსული კლასიციზმის ფორმებს. ეს ეხებოდა ადმინისტრაციულ ნაგებობებს. საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობა მიმდინარეობდა სხვაგვარად. ამ პერიოდში თბილისში ჩამოყალიბდა საცხოვრებლის სრულიად განსხვავებული ტიპი. ვინაიდან საცხოვრებელ სახლებს აშენებდნენ ოფიციალური ფორმების მიხედვით, მის ფასადებში აგრეთვე კლასიციზმის ფორმები ყალიბდებოდა. მაგრამ თბილისის ბუნებრივი პირობები, მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აძლევდა ამ სახლებს განუმეორებელ სახეს. ფასადების კლასიკურ საფუძველს ემატებოდა ხის დახურული აივნები თრნამენტირებული თაღებითა და მოაჯირებით. თავისებური ხასიათი ჰქონდა გეგმარებასაც.

თბილისი – საქართველოს გული, მისი ძირითადი ქულტურული და პოლიტიკური ცენტრი, პაკასიის ქულტურული კავშირების ცენტრიც იყო.

თელავის, სიღნაღის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების ადრინდელ სახლებში ნაკლებად ჩანს შეზღუდვა სანიმუშო პროექტით. უმჭველია, უმეტეს შემთხვევაში, ამ სახლებს თვით თსტატები აშენებდნენ, „ნასწავლი“ არქიტექტორის მონაწილეობის გარეშე.

თბილისური სახლები არსებითად განსხვავდება მეზობელი ქვეწების, მაგ., აზერბაიჯანის, ქალაქური სახლებისაგან. იქ ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეწებში, XIX ს-ის მანძილზე, მაღიან დიდხანს ინარჩუნებდა ძალას ქუჩისკენ ზურგით მიქცეული სახლის შენების ტრადიცია, „ჩაკეტილი სახლის“ პრინციპი უცნობია თბილისისთვის. სახლის ფასადი, მისი დრმა აივნები და გალერეები შიგა ეზოსკენ იყო მიმართული. მხოლოდ წინააღმდეგობით სავსე ევოლუციის შემდეგ, გარკვეული გარდამავალი საფეხურების გავლით, გაჩნდა სარკმლები ქუჩის ფასადზე. მაგრამ ზოგჯერ ნამდვილ სარკმლებს მაინც მხოლოდ მეორე სართულში აკეთებდნენ, პირველში კი სარკმლების დეკორატიულ იმიტაციას სჯერდებოდნენ. ქუჩის მხარეს დაკიდებული

ლი აივანიც აქ შედარებით გვიან ჩნდება, როგორც გარე გავლენის შედეგი, ისიც მხოლოდ ზოგიერთ ქალაქში, მაგ., ყუბაში. ყუბის აივნები ზოგადად ძალიან პგავს თბილისურს, აზერბაიჯანის სხვა ქალაქების საცხოვრებლების ფონზე კი განმარტოებით გამოიყურება.

დასასრულ, აზერბაიჯანის ქალაქურ სახლებში საერთოდ ნაკლებად იგრძნობა კლასიციზმის კალი, სამაგიეროდ ძალიან ძლიერია ტრადიციული – „ისლამური ხასიათის“ – დეკორატიული და სურომოძღვრული ფორმების ხევდრითი წილი (აგურის სახეებიანი, ხალიჩისებრი წყობა, სრული თაღები მართეულთხა ჩარჩოში და სხვა). შემაბანდთა ალათების ნახატში თბილისურსა და აზერბაიჯანულ სახლებში გახვდება საერთო წყაროდან მომდინარე ანალოგიური მოტივებიც, მაგრამ ეს ვერ ცვლის არსებითი განსხვავების შთაბეჭდილებას.

### 3. დასტანა

ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელია მონუმენტურობა, სისადავე, სილადე, ორნამენტის ზომიერად და გემოვნებით გამოყენება, ფუნქციური თუ ცრუ თაღების სიუხვე, სიმაღლისებ ლტოლვა, გაწონასწორებული პროპორციები თავისუფალი ფართობისადმი (სადა კედლისადმი) ტრფიალი, შიგა და გარე ფორმებს შორის სრული შესატყვისობა, განვითარების მთელ მანძილზე (მცხეთის ჯვრიდან და ხერთვისიდან გრემსა და ანანურამდე) გარემომცველ ბუნებასთან ძეგლის საოცარი შერწყმა, ნაგებობათა ხალისიანი, მაჟორული იერი, მოსაპირკეთებელი მასადის დიდი გამოვნებით შერჩევა, მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალების აქცენტირება, საკულტო ძეგლებისათვის საპარადო, საზეიმო, თუ შეიძლება ითქვას, საერო იერის მიცემა.

ნაგებობანი, რომლებშიც ადგილობრივი ტრადიციები შერწყმულია კლასიციზმთან, ქმნიან ძველი თბილისის განუმეორებელ სახეს.

### ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე. თბილისის სურომოძღვრება. 1801-1917წ., ტომი I, თბილისი, 1960, II, თბილისი, 1963.
2. თ. გერსამია. ძველი თბილისი. 1984.
3. კვირკველია. ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში. თბილისი, 1989.

- 
4. გ. მანია, გვროველი არქიტექტორები თბილის-  
ში, 2006.
5. სუმბაძე, თბილისური პერიოდი. თბ., 2013.
6. დ. ბაკრაძე, ნ. ბერძენის. თბილისი в историческом и  
этнографическом отношениях. СПБ, 1870.
7. თ. რ. კვირკველია, Архитектура Тбилиси. Москва, 1985.
- 

**UDC 72****TBILISI'S ARCHITECTURE ON THE EDGE OF XIX-XX CENTURIES****T. Kutateladze, G. Bagration-Davitashvili**Department of theory and basis of architecture, Georgian Technical University, 68<sup>b</sup>, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** XIX century Tbilisi dwelling-house is merger of various traditions. Obviously, this is not the mechanical sum of the different forms: received from Russia, completely formed, canonized forms are not added to local canonized forms. Here they were met by local conditions, local alive traditions and evolution of combination process with recently received gave us new forms. That's why the XIX century dwelling-house in Tbilisi, as well as in other cities of the houses of that time, we can consider as a certain stage of Georgian architecture.

**Key words:** dwelling-house; town-planning; classicism; monumentalism; modernist style.

---

**УДК 72****АРХИТЕКТУРА ТБИЛИСИ НА РУБЕЖЕ XIX-XX ВЕКОВ****Кутателадзе Т.Г., Багратион-Давиташвили Г.Н.**Департамент основ и теории архитектуры, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>b</sup>

**Резюме:** Тбилисский жилой дом XIX века является итогом слияния различных традиций. Это не является механической совокупностью разнообразных форм: здесь не произошло слияние пришедших из России канонизированных форм с местными, также канонизированными формами, здесь сыграли роль местные условия, живые местные традиции, эволюция которых в процессе слияния с новыми формами создала качественную архитектуру. Поэтому тбилисское жилище XIX века, так же как в других городах Грузии того периода, надо считать определенным этапом развития грузинского зодчества.

**Ключевые слова:** жилище; градостроительство; классицизм; монументальность; модерн.

---

*გილეაბულია დასაბუქდა 21.03.14*

# ბიზნესინგერინგის სექცია

შაპ 339.92

აპტომატიზაციის ეფექტურობა წარმომადის სფეროში

ა. კობიაშვილი, ნ. ფაილოძე\*, კ. რამაზაშვილი

ბიზნესის აღმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: n.pailodze@gtu.ge

**რეზიუმე:** განხილულია ავტომატიზაციის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები წარმოებაში. ნაჩვენებია გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხერხები. მოცემულია წარმოების სისტემური და ოპერაციული ეფექტურობის მაჩვენებლები. გაანალიზებულია წარმოების პროცესში ოპერაციული ეფექტურობის მიღწევის გზები. მოცემულია აღნიშნული მაჩვენებლების უზრუნველყოფისათვის საჭირო რეკომენდაციები ექსპერტებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** წარმოების ავტომატიზაცია; სისტემური ეფექტურობა; ოპერაციული ეფექტურობა.

## 1. შესავალი

წარმოების ეფექტურად მართვა უზრუნველყოფს მომხმარებლის დაკმაყოფილებას მაღალი ხარისხის პროდუქციით [1], რაც მიიღება:

- საწარმოო ციკლის ზუსტად დაგეგმვით, რომლის დროსაც გამოირიცხება ავრალები – მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემძლელი ფაქტორები.

- მასალისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების შეძენის ზუსტად დაგეგმვით, რაც გამოიიცხავს არასწორ ან/და არადროულ მიწოდებას და, შესაბამისად, ნაკეთობაში უხარისხო კომპონენტების გამოყენებას.

- საწყობება და საწარმოში მარაგის ზუსტად აღრიცხვით, რაც უზრუნველყოფს შეძენის პრო-

ცესის ზუსტად დაგეგმვას.

- წარმოების დანახარჯების ზუსტად დაგეგმვით, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული ფასის შენარჩუნების შესაძლებლობას.

შეკვეთის (დამზადება, რემონტი) შესრულების მოკლე და მკაცრად დადგენილი ვადებიც ხელშეწყობი ფაქტორია მომხმარებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

## 2. ძირითადი ნაწილი

ეფექტურ საწარმოო სისტემას ძალუმს სწრაფად გამოიტანოს ახალი საქონელი ბაზარზე, რასაც განაპირობებს როგორც დაგეგმვის სიზუსტის მაჩვენებლები, ისე საწარმოო პროცესის სწრაფად გადაწყობის უნარი. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მართვის სისტემის, არამედ საწარმოო ობიექტების (რიცხვით-პროგრამული მართვის მქონე ჩარხები, სწრაფი გადაწყობის საშუალებები) ავტომატიზაცია. ამავე დროს, წარმოების მართვის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ამ ობიექტების არსებობას და ამ სისტემას უნდა პქონდეს წარმოების სხვადასხვა ტიპის (ერთეულოვანი, სერიული) მართვის კომბინირების შესაძლებლობა, უნდა შეეძლოს გეგმის სწრაფად გადახედვა გარემოებებიდან გამომდინარე [2].

ეფექტურობის მაჩვენებლების უზრუნველყოფის შესაძლებლობა ბევრადაა დამოკიდებული საინფორმაციო ბაზის მდგრმარეობასა (სისრულე, საიმედოობა) და მასში ინფორმაციის დროულად განახლების შესაძლებლობაზე. ეს საინფორმა-

ციო ბაზა პრაქტიკულად მთლიანად იქმნება წარმოების ტექნიკური მომზადების სტადიაზე. და ოუ ეს სტადია არაა ავტომატიზებული გარკვეული მაჩვენებლების უზრუნველყოფით, შეიძლება განხდეს მნიშვნელოვანი გართულებები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დანახარჯების მართვა, აუცილებელია ანალიზისათვის საკმარისი

დანახარჯების წყაროების კლასიფიკაცია, დანახარჯების სანდო და დროული აღრიცხვა. ყველაფერმა ამან ასახვა უნდა პოვოს ავტომატიზებულ სისტემაში.

პირველ ცხრილში მოცემულია წარმოების სისტემური ეფექტურობის მაჩვენებლები.

### ცხრილი 1

#### წარმოების სისტემური ეფექტურობის მაჩვენებლები

ფაქტორი	ფაქტორის წონა	მაჩვენებელი	არ არის	უმნიშვნელებელი	საპარისია	არსებობია	ეფექტურობის ინდექსი
C7-ა. უზრუნველყოფს მომსმარჯბლის დაკმაყოფილებას	5	არის თუ არა უზრუნველყოფილი წარმოების ტექნიკური მომზადების ავტომატიზაცია					
C7-ბ. უზრუნველყოფს მომსმარჯბლის დაკმაყოფილებას	10	არის თუ არა უზრუნველყოფილი წარმოებისა და შესყიდვების დაგეგმვის სიზუსტის გაზრდა					
C7-ბ. უზრუნველყოფს მომსმარჯბლის დაკმაყოფილებას	10	არის თუ არა უზრუნველყოფილი წარმოებაზე დანახარჯების სრული და სანდო აღრიცხვა (ნორმატიულისა და ფაქტორის)					
C14-2. სწრაფად გამოაქვს ახალი საქონელი ბაზარზე	10	მცირდება თუ არა პროდუქციის წარმოების ვალები					

უდავოა, რომ ყველა ავტომატიზებულ საწარმო სისტემას აქვს საჭირო მონაცემების შეტანის შესაძლებლობა პირდაპირი გზით ან ინტერფეისის საშუალებით. გასათვალისწინებელია, რამდენად ოპერატორულადაა შესაძლებელი ახალი (შეცვლილი) ტექნოლოგიური მონაცემების შეტანა. ამიტომ, როდესაც ისმის კითხვა „არის თუ არა უზრუნველყოფილი წარმოების ტექნიკური მომზადების ავტომატიზაცია“, მხედველობაშია ტექნოლოგიური მონაცემების მომზადების სიჩქარე (და არა ბეჭდური დოკუმენტების მომზადების სიჩქარე) და მათი შენარჩუნება აქტუალურ მდგრამარებაში. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ტექნიკური დოკუმენტების მიმოქცევა (ცვლილებების შესახებ შეტყობინებების წარმოების ავტომატიზაცია, ელექტრონული არქივი) და საწარმო სისტემაში ინფორმაციის გადაცემის ავტომატიზაცია, და არა მისი მაღლით, ხელით „მოთავსება“

ქადალდზე არსებული დოკუმენტებიდან მაშინაც კი, როდესაც ისინი მიღებულია ავტომატიზებული ხერხით. იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს მივდივართ გამჭოლ პროცესთან „წარმოების მომზადება – წარმოება“, ექსპერტი აკეთებს დასკნას მოცემული მაჩვენებლის ზეგავლენის შესახებ.

წარმოებისა და შესყიდვების დაგეგმვის სიზუსტე დამოკიდებულია როგორც ტექნოლოგიური მონაცემების სარისხებე, ისე შრომითი და მატერიალური ნორმირების მეთოდიკასა და ინფორმაციის დეტალიზაციის სიღრმეზე. ექსპერტს სჭირდება ნორმირების არსებული მეთოდიკის შესწავლა და იმის დადგენა თუ რამდენად იცვლება ის ავტომატიზაციის შედეგად.

წარმოებაზე დანახარჯების (ნორმატიულისა და ფაქტორბრივის) სრული და სანდო აღრიცხვა დამოკიდებულია დანახარჯების აღრიცხვის მეთოდიგზე. აღრიცხვის გაუმჯობესებული მეთოდების

გამოყენება სულაც არ უზრუნველყოფს დაგეგმვის სიზუსტის გაზრდის. ექსპერტმა უერადღება უნდა მიაქციოს, ავტომატიზაციის შედეგად რამდენად უმჯობესდება ინფორმაციის დეტალიზაციის ხარისხი და როგორ იქნება ორგანიზებული ფაქტობრივი დანასარჯების შეგროვება და აღრიცხვა.

მიღებულია, რომ ავტომატიზებულ სისტემაში საწარმოო გარემოს ელემენტს უწოდონ სამუშაო ცენტრი, რომელიც არის სამუშაო აღგილი (მაგალითად, უბანი), მოწყობილობა (ან მოწყობილობათა ჯგუფი) და პერსონალი (მაგალითად, ბრიგადი). სამუშაო ცენტრს აქვთ განსაზღვრული ნორმატიული მწარმოებლურობა, რომელიც შეიძლება დამოკიდებული იქნის სამიერ კომპონენტზე. წარმოების ვადის შემცირება შესაძლებელია სამუშაო ცენტრებს შორის სამუშაოს ოპერატიული განაწილების ხარჯზე. რომ განსაზღვროს, მცირდება თუ არა პროდუქციის წარმოების ვადები, ექსპერტმა უნდა დაადგინოს, რამდენად ზუსტად განისაზღვრება სისტემაში საწარმოო გარემო და როგორია სისტემის შესაძლებლობები დატვირთვის გადანაწილების მოხედვით სამუშაო ცენტრებს შორის.

ოპერაციული ეფექტურობა წარმოების პროცესში მიღებული შემდეგი გზებით:

- პროდუქციის გამოშვების რაოდენობის გაზრდით;
  - წარმოების ციკლის დროის შემცირებით;
  - შრომის მწარმოებლურობის გაზრდით;
  - მოწყობილობების დატვირთვის გაზრდით;
  - საწარმოო სიმბლაფრების გამოყენების გაუმჯობესებით;
  - სასაქონლო-მატერიალური მარაგის მიმოქცვის დაჩქარებით;
  - ინფრასტრუქტურასა და მართვის აპარატზე დანასარჯების შემცირებით;
  - შემსრულებლის კვალიფიკაციის გაზრდით,
- რაც უზრუნველყოფს ახალი ამოცანების გადაწყვეტას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაქტორების გარკვეული ნაწილი ურთიერთზეგავლენას ახდენს. მაგალითად, პროდუქციის გამოშვების ციკლის დროის შემცირება იწვევს პროდუქციის რაოდენობის ზრდას, შრომის მწარმოებლურობის ზრდას იწვევს პროდუქციის მოცულობის ზრდას ან პროდუქციის თვითდინებულების შემცირებას და სხვა. მიუხედავად ამისა, ეს კავშირები რთული და არაერთმნიშვნელოვანია. ამიტომ გამოთვლების გასამარტივებლად ფაქტორები შეფასდება რო-

გორც დამოუკიდებელი, ხოლო მაჩვენებლებიდან ვირჩევთ მხოლოდ არსებითს.

პროდუქციის გამოშვების (წარმოების მოცულობის) ზრდას უზრუნველყოფს:

- სარისხის გაუმჯობესება;
- სხვა დამოუკიდებელი ფაქტორები.

საწარმოო ციკლის შემცირება მიიღწევა წარმოებისა და მომარაგების სიზუსტის გაუმჯობესებით.

შრომის მწარმოებლურობის ზრდა მიიღწევა:

- შრომის ნორმატივების გამოთვლების სიზუსტის გაზრდით;
- დანაკარგის აღრიცხვით (და შემდგომი გამოსწორებით), მოცდებებისა და დროის არასაწარმოო ხარჯვის აღრიცხვით.

მოწყობილობის დაგვირთვის ზრდა მიიღწევა:

- შრომითი ციკლების გათანაბრების შესაძლებლობის მიღწევით;
- მოწყობილობის ხელმისაწვდომობის გაზრდით, დაზიანებების რაოდენობის შემცირებისა (გეგმური რემონტი) და არაგეგმურ, ხელმეორე გამართვაზე დანაკარგების შემცირების ხარჯზე.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება მიიღწევა:

- დამზადების მარშრუტების სწრაფი ცვლილებით (გადატვირთვების ან დაზიანებების შემთხვევაში);
- საწყობის ფართობის ოპტიმალურად გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების მიმოქცევის დაზიარებას უზრუნველყოფს მასალებისა და მაკომბლექტებელი დეტალების მარაგების შემცირება.

ინფრასტრუქტურასა და მართვის აპარატზე ხარჯების შემცირებას უზრუნველყოფს პერსონალის რაოდენობის პირობითი გამოთავისუფლება, რაც შესაძლებელი ხდება:

- რეტინული სამუშაოს (აღრიცხვა, გამოთვლები, დოკუმენტაციის გამოშვება) მოცულობის შემცირების ხარჯზე;

• მენეჯერის საქმიანობის (გადაწყვეტილებების მიღებისათვის მენეჯერის საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა) მოცულობის შემცირების ხარჯზე.

დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაციის დამუშავების მეთოდოლოგია (MRP, APS და სხვა) მოითხოვს ცოდნის სხვა დონეს და ამით ხელს უწყობს შემსრულებლების კვალიფიკაციის ამაღლებას ახალი (შეცვლილი) ამოცანების გადასაწყვეტად.

ცხრილი 2

## წარმოების ოპერაციული ეფექტურობის მაჩვენებლები

ფაქტორი	ფაქტორის წონა	მაჩვენებელი	არ არის	უმნიშვ- ნელობა	საქმა- რისია	არსე- ბითია
Φ12. ზრდის პროცესის გამოშვებას (მოცულობას)	10	გაუმჯობესდება თუ არა პრო- ცესის ხარისხი				
Φ13. ამცირებს წარმო- ების ციკლის დროს	20	გაუმჯობესდება თუ არა წარმო- ებისა და მომარაგების დაგვ- გმვის სიზუსტე				
Φ14A. ზრდის შრომის მწარმოებლურობას	10	გაიზრდება თუ არა შრომითი ნორმატივების სიზუსტე				
Φ14B. ზრდის შრომის მწარმოებლურობას	10	იქნება თუ არა უზრუნველყო- ფილი დროისა და მოცდების დანაკარგების აღრიცხვა				
Φ17A. ზრდის მოწყო- ბილობის დატვირთვას	10	უზრუნველყოფს თუ არა დაგეგ- მვის სისტემა საწარმოო ციკ- ლების ოპტიმიზაციას				
Φ17B. ზრდის მოწყობი- ლობის დატვირთვას	10	გაიზრდება თუ არა მოწყობი- ლობის წვდომა (დატვირთვა)				
Φ18A. აუმჯობესებს სა- წარმოო სიმძლავრეების გამოყენებას	20	გაიზრდება თუ არა წარმოების მარშრუტების ცვლილების ოპე- რატიულობა				
Φ18B. აუმჯობესებს სა- წარმოო სიმძლავრეების გამოყენებას	10	გაუმჯობესდება თუ არა საწარ- მოო ფართობების გამოყენება				
Φ19-2. აჩქარებს სასაქონ- ლო-ძარღიალური მარა- გის მიმოქცევას	10	შემცირდება თუ არა მასალე- ბისა და მაკომპლექტებელი დუ- ბალების მარაგი				
Φ16-2A. ამცირებს დანახ- არჯებს ინფრასტრუქტუ- რასა და მართვის აპა- რატზე	10	შემცირდება თუ არა რეტინული სამუშაოს (აღრიცხვა, გამოთვ- ლები, დოკუმენტაციის გამოშ- ვება) მოცულობა				
Φ16-2B. ამცირებს დანახ- არჯებს ინფრასტრუქტუ- რასა და მართვის აპა- რატზე	10	შემცირდება თუ არა მენეჯერის შრომა (მენეჯერული გადაწყვე- ტილებების მიღების დრო და დასაბუთებულობა)				
K4-2. უზრუნველყოფს გა- დასაწყები ამოცანების შესაბამის კვალიფიკაციას	5	გაიზრდება თუ არა შემსრულებ- ლის კვალიფიკაცია აეტომატი- ზებული სისტემის გამოყენების შედეგად				

სისტემური და ოპერაციული ეფექტურობების ამოცანების შედეგების გადასაწყები ამოცანების შესაბამის კვალიფიკაციას

სას შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეკომენდა-  
ციები, რომლებიც ეხება სისტემურ ეფექტურო-  
ბას. ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ ის რეკომენ-

დაციები, რომლებიც განსხვავდება მაჩვენებლების მხრივ.

მოცულობის გაზრდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზეზით ხდება იმ მიზეზების ჩამოცილების შედეგად, რომლებიც ახდენს წარმოების დეზორგანიზაციას. კერძოდ, ცუდი ხარისხი ამცირებს წარმოების მოცულობას შემდეგი მიზეზების გამო:

- პროდუქციის წუნის, გადაკეთებისა და უკან დაბრუნების გამო;
- მატერიალური ნაკადების დარღვევების გამო;
- დამატებითი მიწოდებისა და გამართვის გამო;
- სარეზერვო მარაგის ზრდის გამო.

ხარისხის გაუმჯობესება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ დროისა და შრომის დანაკარგები. ეს პარამეტრები შეიძლება აღწევდეს შემდეგ სიდიდეებს:

- დეფექტის გამოსწორებაზე დანახარჯების შემცირება 10-60%-ით;
- საწარმოო წუნის შემცირება 35%-ით;
- საწარმოო ციკლის შემცირება 30%-ით;
- ნარჩენების შემცირება 20-50%-ით.

მაჩვენებლის სიდიდის განსაზღვრისას შესაძლებელია კისარგებლოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილით.

### ცხრილი 3

#### მაჩვენებლების სიდიდეები

მაჩვენებელი	არ არის	უმნიშ- ვნელოა	არსე- ბითია	საკმა- რისია
მომსახურების გაუმჯობესება (დროული მიწოდებების წილის გაზრდა)	0%	6%	16%	28%
მწარმოებლურობის გაზრდა (გამოშვების მოცულობის ზრდა)	0%	4%	10%	16%
საწარმოო ფართობების მოთხოვნილების შემცირება	0%	15%	30%	50%
მარაგის დონის შემცირება (მასალების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის ჩათვლით)	0%	5%	17%	25%
იმ ქვედანაყოფების შრომითი დანახარჯების შემცირება, რომლებიც დაკავებული არიან წარმოების მართვით	0%	4%	10%	20%

პირობით გამოთავისუფლებაში იგულისხმება ან პერსონალის რეალური რაოდენობის შემცირება, ან მოცვემული რაოდენობის შემსრულებლების მიერ უფრო დიდი სამუშაოს შესრულება. მაგრამ ავტომატიზაციის დროს ყველაზე ხშირია შემთხვევა, როდესაც პერსონალი იწყებს იმ სამუშაოს შესრულებას, რაც ადრე არ შეეძლო. და სწორედ ეს სამუშაო (ახალი ფუნქციები) იძლევა საშუალებას დაკმაყოფილდეს ეფექტურობის ის ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოპერაციულ ეფექტურობას.

### 3. დასკვნა

მართვის ავტომატიზაცია მნიშვნელოვნად ცვლის ბევრი მუშაკის შრომის ხასიათს. ეს ეხება დისპეციერს, მომმარაგებელს, მეცნიერებელს და,

ყველაზე მეტად, წარმოების დამგეგმავს. ავტომატიზებული სისტემა ამუშავებს უზარმაზარ ინფორმაციას, მაგრამ ინფორმაციის ნაწილი (უმეტესწილად, საწარმოო გარემოს შესახებ) შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს ან არ იყოს სანდო. ზოგიერთ საწარმოში შემოაქვთ მთავარი დამგეგმავის თანამდებობა. ესაა სპეციალისტი, რომელიც სისტემიდან მიღებული მონაცემებისა და გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას წარმოების მარშრუტის შეცვლის, ვადების გადაწყვისა და სხვა ცელილებების შესახებ და სისტემას აძლევს ბრძანებას (ზოგჯერ არაერთს) საწარმოო გრაფიკების გეგმის ცელილების შესახებ. რთული მრავალნომენცილტურული წარმოების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს საკმაოდ რესურსტევადი ამო-

ცანა (განსაკუთრებით დროის თვალსაზრისით), თუმცა ყველა სისტემას შეუძლია ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

### **ლიტერატურა**

1. Карминский А.В., Черников Б.В. Информационные системы в экономике. Часть 2. Практика использования. М.: Финансы и статистика, 2006.- 238 стр.
2. Головин А.С. Экономика информационных технологий. М., 2009.- 57 стр.
3. Брайдо В.Л. Офисная оргтехника для делопроизводства и управления. Москва: Информационно-издательский дом „Филинъ“, 1998.- 424 с.
4. Вендров А.М. CASE-технологии. Современные методы и средства проектирования информационных систем. Москва: Финансы и статистика, 199.-176 с.

**UDC 339.92**

### **EFFICIENCY OF AUTOMATIZATION IN THE SCOPE OF PRODUCTION**

**A. Kobiashvili, N. Pailodze, K. Ramazashvili**

Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are considered estimation criteria of efficiency of automatization in the scope of production. The ways of provision the high quality of output are shown. The rates of system and operational efficiency of production are given. The ways of accomplishing the operational efficiency in the working process are analyzed. Necessary recommendations for assurance of these rates for experts are given.

**Key words:** automatization of production, system efficiency, operational efficiency.

**УДК 339.92**

### **ЭФФЕКТИВНОСТЬ АВТОМАТИЗАЦИИ В СФЕРЕ ПРОИЗВОДСТВА**

**Кобиашвили А.А., Пайлодзе Н.Р., Рамазашвили К.Т.**

Департамент администрирования бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены критерии оценки эффективности автоматизации в сфере производства. Показаны способы обеспечения высокого качества выпускаемой продукции. Даны показатели системной и операционной эффективности производства. Проанализированы способы достижения операционной эффективности в процессе производства. Даны необходимые рекомендации для экспертов для обеспечения данных показателей.

**Ключевые слова:** автоматизация производства; системная эффективность; операционная эффективность.

*მიღებულია დანაბეჭდით 19.03.14*

# 063070202002 და მართვის სისტემების სექცია

УДК 621.315.592

## ИССЛЕДОВАНИЕ ОБЛУЧЕННЫХ ВЫСОКОЭНЕРГЕТИЧЕСКИМИ ПРОТОНАМИ КРИСТАЛЛОВ

*n - Si* МЕТОДОМ ФОТО-ХОЛЛ – ЭФФЕКТА

Т.А. Пагава, Н.И. Майсурадзе, М.Г. Беридзе, И.Г. Каландадзе, Н.А. Эсиава

Департамент инженерной физики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава 77

E-mail: tpagava@gtu.ge

**Резюме:** Исследуемые образцы монокристаллов *n - Si* с концентрацией электронов  $N = 6 \cdot 10^{13} \text{ см}^{-3}$  облучались протонами с энергией 25 МэВ при  $300K$ . Для исследования применяли метод фото-Холл-эффекта. В облученных образцах наблюдается аномально высокое значение Холловской подвижности электронов, что объясняется образованием в объеме кристалла высокопроводящих включений с омическим переходом на границе с матрицей кристалла. При некоторых температурах изохронного отжига наблюдается аномально высокое рассеяние электронов, которое уменьшается монохроматической ИК подсветкой заданной энергии. Подсветка деионизирует электростатически взаимодействующие вторичные глубокие центры, которые образуются в процессе изохронного отжига вокруг металлических включений и экранируют их. Показано, что экранирующими дефектами, которые образуются вокруг металлических включений в процессе изохронного отжига, являются в основном *A* – и *E* – центры.

**Ключевые слова:** высокоэнергетические протоны; метод фото-Холл-эффекта; ИК подсветка; *A* – и *E* – центры.

## 1. ВВЕДЕНИЕ

### Постановка задачи

В работе [1] показана зависимость размеров и конфигураций разупорядоченных областей (РО) от энергии первичного выбитого атома в кристаллах *Si*. Из зависимости числа взаимодействий от энергии протона

следует, что природа большинства взаимодействий кулонова и в этих условиях преимущественно образуются изолированные точечные радиационные дефекты (РД). Когда энергия отдачи превышает  $\sim 2\text{кэВ}$ , в кристалле образуются однокаскадные или субкаскадные разрушения. С ростом энергии протонов ( $\varepsilon \geq 20$  МэВ) субкаскадные разрушения становятся многокаскадными, т.е. образуются разупорядоченные области (РО).

Ядра РО состоят из вакансий, дивакансий и различного рода вакансационных ассоциатов, а в формировании их периферии (оболочки) участвуют дефекты типа примесь + вакансия.

РО в кристаллах *n - Si* характеризуются проводимостью *p* – типа, а в кристаллах *p - Si* – *n* – типа, т.е. они являются диэлектрическими включениями и вызывают уменьшение эффективного значения холловской подвижности  $\mu_{eff}$  как в области фононного рассеяния, так и в области рассеяния на заряженных дефектах [2,3,4,5,6].

Авторами работ [5,6] было высказано предположение, что ядра РО состоят из собственных межузельных атомов.

В работах [7,8,9] экспериментально доказано, что в кристаллах *n - Si*, облученных протонами с энергией 25 МэВ, преимущественно образуются металлические включения с омическим переходом на границе раздела с матрицей полупроводника, что приводит к аномальному увеличению  $\mu_{eff}$ . В процессе изохронного отжига (ИО) вокруг металлических включений (которые по-видимому, являются скоплениями межузельных атомов) образуется непрозрачная для электронов про-

водимости оболочки из отрицательно заряженных акцепторных радиационных дефектов РД, чем объясняется резкое уменьшение  $\mu_{eff}$  после отжига облученных образцов при  $T_{ann} = 110^0C$  или в процессе естественного старения в течение 30 суток при  $300K$ .

В работе [9] высказано предположение, что в области высоких температур ( $300 - 200K$ ) за экранирование металлических включений ответственны  $E$ -центры. При низких температурах кроме  $E$ -центров также  $A$ -центры, которые начинают заряжаться ниже  $200K$ . После отжига  $E$ -центров ( $T_{ann} = 160^0C$ ) экранирующая оболочка при низких температурах ( $< 200K$ ), по-видимому, состоит только из отрицательно заряженных  $A$ -центров. Следует отметить, что в силу кулоновского притяжения между положительными атомами фосфора и отрицательными вакансиями эффективности введения А-центров  $\eta_A$  и Е-центров  $\eta_E$  в наших условиях, когда концентрация кислорода на два порядка превышает концентрацию фосфора, почти равны -  $\eta_A \approx \eta_E$  [10,11].

Если в атмосфере вокруг металлических включений действительно образуются  $A$ - и  $E$ -центры и если именно они ответственны за резкое уменьшение  $\mu_{eff}$  электронов в кристаллах  $n-Si$ , облученных протонами с энергией 25 МэВ, то используя монохроматическую селективную подсветку, можно существенно повлиять на вид кривой  $\mu_{eff}(T)$  путем деионизации определенного числа этих центров.

Целью данной работы является изучение влияния селективного фотовозбуждения с помощью ИК подсветки части  $A$ - и  $E$ -центров на  $\mu_{eff}$  исследуемых образцах.

## 2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

### Эксперимент

Для исследования нами были использованы моно-кристаллы  $n-Si$ , легированные фосфором, с концентрацией электронов  $N = 6 \cdot 10^{13} cm^{-3}$ . Кристаллы были получены методом зонной плавки. Соответственно концентрация кислорода  $N_O \approx 10^{16} cm^{-3}$ ; плотность ростовых дислокаций  $N_D \approx 10^3 - 10^4 cm^{-2}$ . Часть исследуемых образцов облучалась только протонами 25 МэВ (доза  $\Phi = 8,1 \cdot 10^{12} cm^{-2}$ ); определенная часть образцов сначала небольшими дозами протонов ( $\Phi \approx 10^{11} cm^{-2}$ ), а затем электронами 2 МэВ (доза  $\Phi = 10^{14} cm^{-2}$ ).

Для изучения роли деионизации глубоких центров на  $\mu_{eff}$  мы использовали метод фото-Холл-эффекта; электроны с уровней данного типа возбуждались в зону проводимости светом с помощью монохроматора ИКС-21. ИК свет от одного монохроматора освещал только определенную часть исследуемого образца. Для усиления эффекта мы освещали кристалл из двух источников таким образом, чтобы они не перекрывали друг-друга. Уровень инъекции photoносителей не превышал  $\sim 3\%$ . Температурные зависимости  $N$ ,  $\rho$  и  $\mu_{eff}$  исследовались в интервале  $T = 77 \div 300K$ ;  $N$  измеряли компенсационным методом в магнитном поле  $H = 10k\mathcal{E}$ ;  $\rho$  измеряли двухзондовым методом; холловский фактор принимался равным единице.  $\mu_{eff}$  вычисляли по формуле  $\mu_{eff} = 1/e\rho$ , где  $e$  – заряд электрона,  $\rho$  – удельное сопротивление исследуемого образца. С целью осуществления перестройки атмосферы точечных дефектов, образующихся вокруг металлических включений, применялся изохронный отжиг ИО в интервале  $80 \div 550^0C$ , шагом  $10^0C$  с охлаждением за время  $\leq 10$  сек; время выдержки при фиксированной температуре 10 мин. Погрешность измерения этих величин не превышала 10%.

### Результаты исследований и их обсуждение

На рис.1 представлены зависимости  $N = f(10^3/T)$  в исходном кристалле (кривая 1) после облучения протонами 25 МэВ интегральным потоком  $8,1 \cdot 10^{12} cm^{-2}$  (кривая 2), а также после отжигов облученного образца при температурах 110, 160 и  $380^0C$  (кривые 3, 4, 7 соответственно). Кривая 2 на рис.1 соответствует дефекту акцепторного типа с энергией ионизации  $E_C = 0,38 \pm 0,01$  эВ, т.е. дивакансиям [12].

Как известно [13], энергия электростатического взаимодействия электронов в цепочке «оборванных» связей на дислокациях зависит от их заполнения и может быть представлена выражением

$$\varepsilon_S(F) \approx f_c \varepsilon_0 [(3/2) \ln(f/f_c) - 0.8666], \quad (1)$$

